# მეიარაღე გიორგი ელიარაშვილი

მეიარაღე გიორგი ელიარაშვილი იყო ჩემი შთაგონების წყარო, როდესაც 1980-1986 წლებში შევისწავლე და აღვადგინე ხევსურული საჭურველის სრული ანაკრები. 1980 წლიდან დაინტერესებული ვარ მათი ისტორიით და დღემდე ვიძიებ და ვაგროვებ ინფორმაციას მათ შესახებ; შეგროვებული მაქვს თითქმის ყველა არსებული პუბლიკაცია ქართული და უცხოური. 2015-21 წლებში მეიარაღე ოსტატ ზაქრო ნონიკაშვილთან თანამშრომლობით შესწავლილ იქნა და შეიქმნა 7 დამოუკიდებელი ნამუშევარი ელიარაშვილების სტილში და დღემდე მიმდინარეობს მუშაობა ამ მიმართულებით, შევისწავლეთ, დავამზადეთ და გამოვცადეთ, მათი ცნობილი ტექნოლოგიებით ქართული ხმლის ფოლადი, ამოვხსენით და აღვადგინეთ მხატვრული ორნამენტების შესრულების მათი მრავალი ტექნოლოგია.

ელიარაშვილების ისტორია, შეიძლება ითქვას "უწვეტ ხაზად" გაჰყვება ჩემს შემოქმედებით გზას. მათი სტილის და ტექნოლოგიების სწავლის გვერდით ყოველთვის იწვევდა ინტერესს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა პუბლიკაციებში ელიარაშვილების გვარი მოხსენიებულია როგორც, ელიაროვი, ელიაზაროვი, ელიაზარაშვილი, ელიაზაროშვილი... აგრეთვე იგი სხვადასხვა პუბლიკაციებში მოხსენიებულია როგორც სომეხი ეროვნების მეიარაღე. ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი სინამდვილის გარკვევაში და 2020 წელს მივმართე ბატონ რეზო ხუციშვილს (ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი) თხოვნით, გამოეკვლია მათი გენეოლოგია და წარმომავლობა. ბატონი რეზო დაინტერესდა და ქვემოთ იხილეთ დამოუკიდებელი კვლევის შედეგი.

როდესაც კვლევა თითქმის დამთავრებული იყო, შევიტყვეთ, რომ პარალელურად ამ საკითხზე აგრეთვე მუშაობდა მკვლევარი ბატონი ლევან დვალიშვილი და მისი ნაშრომი გამოქვეყნდა 2021 წლის 25 ივნისს. ვფიქრობთ ეს ორი ერთმანეთისგან დამოუკიდებელი კვლევა ერთმანეთს გააძლიერებს და საინტერესო და აქტუალური იქნება მოყვარულთა და სამეცნიერო წრეებისათვის.

***გოჩა ლაღიძე***

*ოსტატი-მესაჭურვლე, მკვლევარი. საქართველოს და ნიდერლანდების სამეფოს მხატვართა კავშირების წევრი. ნიდერლანდების ოქრომჭედლების გილდიის ოსტატი. 2021 წლის 27 ივლისი.*

ქართული გენეალოგია
Georgian Genealogy

# გეურქ ელიაროვის (ელიარაშვილი) წარმომავლობა

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის ბოლოდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საუკეთესო ფოლადის (ბულატი, ჯევარდინი) მიმღები და მისგან მაღალი ხარისხის საომარი იარაღის ჭედვის სახელგანთქმული ოსტატი გეურქ სარქისის ძე ელიაროვი. ხოლო, მისი შვილები ყარამანი და ეფრემი ამ საქმის საუკეთესო გამგრძელებელი იყვნენ, რომლებიც გეურქის სხვა შვილებთან და ნათესავებთან ერთად აგრეთვე თბილისში ცხოვრობდნენ.

გეურქ ელიაროვისა და მისი შვილების აღნიშნულ მოღვაწეობას გამოკვლევები მიუძღვნეს როგორც ქართველმა, ასევე უცხოელმა მკვლევარებმა, რომელთა საკმაოდ ვრცელი ისტორიოგრაფია (გარკვეულ პერიოდამდე) მოცემულია კოტე ჩოლოყაშვილის სადისერტაციო ნაშრომში „საბრძოლო იარაღის წარმოებისთვის საქართველოში" *[თბ. 1959 წ. გვ. 150].* მასვე ეკუთვნის ცალკე სტატია აღნიშნულ ოსტატთა შესახებ - „ბულატის თბილისელი ოსტატები" *[ჟურნ. მეცნიერება და ტექნიკა, 1956 წ. №5, გვ. 15-17].* აღსანიშნავია აგრეთვე ვ. გონგაძის ნაშრომი „ჯევარდინისა და მისგან საომარი იარაღის დამზადების გამოჩენილი ქართველი ოსტატი" *[ჟურნ. „მნათობი", 1959 წ. №7, გვ. 146-152],* პ. გუგუშვილი *[საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში, ტ. 5, თბ. 1962, გვ. 138-141]* და სხვ. დავასახელებთ აგრეთვე ზოგიერთ უცხოელ ავტორს, რომლებიც ჩვენთვის საინტერესო პიროვნებებს ეხებიან: Э. Г. Аствацатурян, Оружие народов Кавказа, СПб 2004 г.; Я. Л. Махлевич, И. Эльбрус на юге... Москва 1991 г; Н.Б. Годеновский, Тайна Булатной Стали , Изд. Феникс, Ростов-на-Дону,2010; Кирилл Ривкин, Оружие и Доспехи Кавказа, Изд. США, 2015 (на англ.); С.Талантов, "Разборный Кинжал Работы Геурка Элиарова из Тифлиса" , журнал Историческое Оружиеведение, 4/2017.

ამრიგად, საომარი იარაღის ჭედვის ოსტატების ელიაროვების საქმიანობა, შეიძლება ითქვას კარგად არის შესწავლილი, გამოთქმულია სხვადასხვა შეხედულებები. მაგრამ, არსებულ ნაშრომებში არსად ჩანს ინტერესი და შესაბამისად მოკვლეული მასალა მათი წარმომავლობის შესახებ, თუ არ ჩავლით რამდენიმე პუბლიკაციას, მათ შორის მაგალითად ი. მახლევიჩის დასახელებული ნაშრომს, რომელშიც იგი გეურქ ელიაროვის სომხურ წარმომავლობაზე მიანიშნებს *[იხ. დოკ. 1].*

«Геурк Саркисов сын Елиаров» родился в 1769 году в Эрзеруме[4] и принадлежал к семье армянских оружейников, которые унаследовали секрет изготовления булата от далеких предков. К концу века Геурк перебрался из Турции в Тифлис, а брат его Михаил — в Астрахань[5]. Вероятно, фамилия образовалась от имени прародителя и по-турецки звучала Алияр-оглы (оглы — сын). Равнозначное грузинское окончание превратило ее в Елиарашвили; русская транскрипция — Елияров, Елеров, Илеров, почему-то Елизаров и, наконец, устойчивое Элиаров. Кстати, даже улица в старом Тифлисе около их дома — Элиаровская!

Имя мастера также претерпевает в архивных записях многочисленные изменения. По-русски Георгий или Егор; у местных жителей Ягор; правильное армянское произношение — Геворг; тифлисский диалект армянского дает форму Геурк (у Лермонтова — Геург).

*1. ი. მახლევიჩი, დასახ. ნაშრ. გვ. 41*

როგორც ი. მახლევიჩის მიერ, ასევე სხვა ავტორებისთვისაც *[კ. ჩოლოყაშვილი, დასახ. დისერტაცია, გვ. 151-152 და სხვ.]* შეუმჩნეველი არ დარჩენილა, რომ თბილისში მოღვაწე იარაღის ოსტატ ელიაროვებს განსხვავებული გვარით და ხანდახან სახელითაც კი იხსენიებენ: ელიაზარაშვილი, ელიაზაროვი, ელიზარაშვილი, ეგიაზაროვი, ელაროვი... *[იხ. დოკ. 2, 3, 4, 5]*. ელიაროვთა გვარის ასეთ მოხსენიებებს საისტორიო წყაროებშიც ვხვდებით და ალბათ, დასახელებული ავტორები მას სხვადასხვა მიზეზითა თუ მიზნით იყენებდნენ *[იხ. დოკ. 6]*. თუმცა, გარკვეული ავტორები და წყაროები მათ გვარს სწორად ასახელებენ *[იხ. დოკ. 1, 7]*.

უკვე 1830 წ. გენ. პასკევიჩი გრაფ კანკრინს ატყობინებდა დაწვრილებით ცნობებს განთქმულ თბილისელ ოსტატ ყარამან ელიაზარაშვილის[46] (Елиазаров და არა Егиазаров, როგორც ეს დამახინჯებულად აქვს გადმოცემული ს. გულიშამბაროვს)[47] ხელოვნების შესახებ[48].

*2. პ. გუგუშვილი, დასხ. ნაშრ. გვ. 138*

Наиболее известными тифлисскими мастерами-оружейниками были семья Элиазаровых (Элиаровых) и Иосиф Попов. Они заслуживают специального рассмотрения.

*3. ე. ასტვაცატურიანი, დასახ. ნაშრ. გვ. 393.*

1828 წლის რუსულ ჟურნალში „სევერნი არხივ“ გ. ელიზარაშვილის შესახებ მითითებულია, რომ ის „მთავრობისაგან პრივილეგირებული იყო“. აქვე აღნიშნულია, რომ მისი ხმალი, რომელიც „საუკეთესო ბულატისაგან და შესანიშნავი წრთობით არის დამზადებული, დამასკურს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა.“ როგორც ხმლის მკეთებელი, გიორგი იმდენად პოპულარული ყოფილა, რომ ლერმონტოვი მას თავის დღიურშიც კი მოიხსენიებს. ამას გარდა გ. ელიზარაშვილს დიდი პოეტი ასახელებს ლექსის—„პოეტი“ ერთ-ერთ ვარიანტში:

*4. კ. ჩოლოყაშვილი, ჟურნ. მეცნიერება და ტექნიკა, 1956 წ. №5, გვ. 16*

როგორც ცნობილია, XVIII საუკუნის დასასრულსა და XIX საუკუნის დასაწყისში თბილისში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ჯავარდნის მიმღები და მისგან მაღალხარისხოვანი საომარი იარაღის ჰედვის ქართველი სახელგანთქმული ოსტატი იაგორ (გიორგი) ელიაზარაშვილი.

*5. ვ. გონგაძე, დასხ. ნაშრ. გვ. 147*

Въ декабрѣ мѣсяцѣ того-же года лучшій въ Тифлисѣ оружейный мастеръ Кахраманъ Еліазаровъ далъ обязательство, съ коего прилагается при семъ копія,

*6. Акты, собранные Кавказскою Археографическою Коммиссиею, Тифлис, 1878 г. Т. 7, N294, стр. 342*

*Ружейный мастеръ: Караманъ Эліаровъ,* на Таможенной ул., въ собст. д.

*7. Кавказский Календарь на 1846 г.*

რა თქმა უნდა, საინტერესოა თუ როგორ წერდნენ გეურქ ელიაროვი, მისი შვილები და ნათესავები საკუთარ გვარს. ეს გამოჩნდა გეურქ ელიაროვის გენეალოგიის გამოკვლევის დროს, რომელიც წინამდებარე ნაშრომს წინ უძღვოდა. მასში გამოვლინდა 1821 წელს მისივე შედგენილი წინაპრების გენეალოგიური ხე და ოჯახის წევრთა ნუსხა, რომლიდანაც ჩანს, რომ გეურქი თავის გვარს წერს როგორც ელიარაშვილი *[იხ. მისი გენეალოგია ქვემოთ].*

ბუნებრივად იბადება კითხვა, რამ განაპირობა გეურქისა და ზოგადად ელიაროვთა გვარსახელის სხვადასხვა ფორმით მოხსენიება და რა კავშირშია ეს მის წარმომავლობასთან. ამ კითხვების პასუხი უნდა დავიწყოთ იმით, თუ რა ინფორმაცია შემოგვინახა საისტორიო

წყაროებმა გეურქის საგვარეულოს წარმომავლობის შესახებ.

როგორც საისტორიო საბუთები მეტყველებენ და ეს გაზიარებულია ისტორიოგრაფიაში, გეურქ ელიაროვი თბილისში ჩამოსულა სხვა ადგილიდან და ეს ადგილი შეიძლება ყოფილიყო როგორც უცხო ქვეყანა, ასევე საქართველო. მისი გენეალოგიური კვლევის შედეგად, ჩვენს მიერ გამოვლენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ იგი დაიბადა 1769 წელს. თუმცა, გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა ვერ ხერხდება, სათანადო დოკუმენტების უქონლობის გამო.

საიდან მოვიდა გეურქ ელიაროვი თბილისში და რა ეროვნების იყო იგი, ჩვენს მიერ გამოვლენილ დოკუმენტებში მოცემული არ არის. ამიტომ, აღნიშნული საკითხების დადგენა ვცადეთ სხვა შინაარსის მასალიდან. ეს არის მისი შვილებისა და ნათესავების შესახებ არსებული საარქივო დოკუმენტები, რომლებიც მათ მიერ აზნაურის ტიტულის მოპოვების მცდელობას ეხება.

როგორც ცნობილია, 1818 წელს თბილისში დაარსდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურთა საკრებულო, რომელიც უფლებამოსილი იყო განეხილა თავად-აზნაურობის წოდების მაძიებელთა საქმეები და გაეცა წოდებაში მათი დამტკიცების საბუთები. მართებულად აღნიშნავს პროფ. ზურაბ ჭუმბურიძე, რომ ეს პროცესი რთული იყო და ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავდა *[იხ. დოკ. 8]*.

როგორ და რა საბუთების საფუძველზე ხდებოდა თავადთა და აზნაურთა წოდებაში დამტკიცება, ამის თვალსაჩინო მაგალითები ბევრია საქართველოს თავად-აზნაურთა დეპუტატების საკრებულოს საქმეებში, რომლებიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივში. ამ საქმეებიდან ჩანს, რომ თავად-აზნაურთა წოდებაში დამტკიცება რთული და ხანგრძლივი პროცესი იყო და ყოველგვარ შემთხვევითობას გამორიცხავდა.

*8. ზ. ჭუმბურიძე, ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები, თბ., 2005, გვ. 7*

მართალია ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს გეურქ სარქისის ძე ელიაროვის, მისი ძმისა თუ ნათესავების წოდებრივი საკითხების ძიება, მაგრამ, სწორედ ამ დოკუმენტებმა შემოგვინახა მათი წარმომავლობის დასადგენად საჭირო და სანდო ინფორმაცია. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ გეურქ სარქისის ძე ელიაროვს ყოლია ძმა, რომელიც რატომღაც მის მიერვე შედგენილ გენეალოგიურ ხეში გეურქს არ შეუტანია. სწორედ მის ძმას მიხეილ სარქისის ძე ელიაროვს 1819 წელს დაუყენებია საკითხი მისთვის აზნაურის წოდების მინიჭების შესახებ, რაც ქვემოთ მოცემულ 1820 წლის საბუთში ჩანს. აღსანიშნავია, რომ აქ მისი გვარი წერია ელაროვი. ამავე დოკუმენტში ნათქვამია, რომ იგი არის იმ ელაროვთა შთამომავალი, რომლებიც მოიხსენებიან 1783 წ. ერეკლე II-ს მიერ

ხელმოწერილ გერგიევსკის ტრაქტატის თანმხლებ აზნაურთა სიაში *[იხ. დოკ. 9]*.



1820 года Октября 23 дня Грузинское Дворянское
Депутатское Собрание получа при предложении
управляющаго в Грузии Господина Генерал Лей-
тенанта и Кавалера Вельяминова от 2е Октября
прошлаго 1819 года № 1221го постановление Го-
сударственнаго Совета разных Грузинских
урожденцов жительствующих в России дела
по коим они доказывали дворянское свое происхож-
дение для удостоверения точно ли помянутыя роды
происходят от тех фамилий кои в списке
приложенном при трактате заключенном
в 1783 году с Грузинским Царем Ираклием
показаны. — в числе каковых и Грузинскаго
дворянина Михаила Сергеевича Еларова
прошение подаваемое им прямо в Герольдию
с одним Свидетельством данным ему про
сителю 1е 1815 года Ноября 5го дня от 12ти благо-
родных особ жительствующих в Грузии что он
действительно Грузинский дворянин происходящий
от того рода дворян Еларовых который значит-
ся помещенным Грузинским Царем Ираклием
в трактате в 1783 году заключенном. — и 2е
1818 года Июня 8го дня от покойного Грузинскаго
Царевича Давида подтверждающее, что он Ела
ров точно есть Грузинский дворянин рода
Еларова, который в трактате помещен
поелику же от него более никаких дока
зательств не было представлено, то Гру
зинское дворянское депутатское Собрание
не имея более удостоверится в справедли
вости

*9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 231, ან. 1, საქმე 27, გვ. 3.*

როგორც შემდეგი საბუთიდან ჩანს, მიხეილის თხოვნა არ დააკმაყოფილა თავად-აზნაურთა საკრებულომ, თუმცა აქ ჩვენთვის საინტერესოა ის ფაქტი, რომ მიხეილ ელაროვი ასტრახანის მკვიდრი ყოფილა *[იხ. დოკ. 10]*.



Астраханское губернское правление
Экспедиция 2
Стол
Исполнительный
7. марта
828 года
№ 7019

Верховнаго грузинскаго правительства въ исполнительную Экспедицию

Губернское правление по выслушании сообщения оной Экспедиции отъ 17. Декабря 1827. года № 16,145. съ приложениемъ копии съ указа правительствующаго Сената о неутверждении жительствующаго здесь въ Астрахани Михайла Еларова въ дворянскомъ достоинствѣ — Определило: Вышеозначенную копию съ указа Правительствующаго Сената для объявления оной Еларову отослать (: и отослана:) въ Астраханскую полицию при указѣ поручивъ ей по объявлении оной донести прямо отъ себя оной Экспедиции а копию съ указа возвратить при рапортѣ въ сие Губернское Правление о чемъ.

*10. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 16, ან. 1, საქმე 3262, გვ. 2.*

რაც შეეხება თვით გეურქ სარქისის ძე ელიაროვის წარმომავლობას, როგორც ზემოთ ითქვა და ვნახეთ, მის აზნაურად დამტკიცებასთან დაკავშირებულ 1821 წლით დათარიღებულ საარქივო საქმეში მოცემულია მისივე შედგენილი წინაპრების გენეალოგიური ხე და ოჯახის წევრთა ნუსხა*[იხ. ქვემოთ]*. თუმცა, იმავე საქმეში ვხვდებით მისი შვილებისადმი გაცემულ მოწმობას, რომელშიც ქართველ-თავადაზნაურთა ერთი ჯგუფი და სხვადასხვა ჩინოვნიკები ადასტურებენ მათ აზნაურულ წარმომავლობას *[იხ. დოკ. 11]*, რაც ჩვენს მიერ მოყვანილ მომდევნო საბუთს გარკვეულწილად უკავშირდება.


Копія

ЦѢНА ОДИНЪ РУБЛЬ

Свидѣтельство.

Дано сие Тифлисскаго уѣзда дворянамъ Кирамону Александру и Ефрему сыновьямъ Гургеновымъ Еліаровымъ въ томъ, что они дѣйствительно происходятъ изъ той дворянъ Еліаровыхъ фамиліи которая показана въ трактатѣ Россійскимъ Императорскимъ дворомъ 1783 года съ покойнымъ Грузинскимъ царемъ Иракліемъ заключенномъ, и суть вышеупомянутые лица дворяне Еліаровы.— во увѣреніе чего подписуемся собственными руками нашими 1825 года Апреля 16го дня подписали:

Тифлисскій уѣздный маршалъ Князь Іосифъ Меликовъ

Князь Кайхосро Орбеліановъ

Губернскій Секретарь К. Бирткель Тумановъ

Капитанъ К. Георгій Баратовъ

Прапорщикъ К. Димитрій Баратовъ

Губернскій Секретарь К. Яковъ Баратовъ

Губернскій Секретарь Соломонъ Джорасовъ

Коллежскій Секретарь Іосифъ Магаловъ

Князь Самадбегъ Орбеліановъ

Князь Иванъ Павленовъ

Гавріилъ Магаловъ

Дворянинъ Зурабъ Сагиновъ

Вѣрно. Секретарь дворянства Шелестовъ

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

*11. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1, ან. 1, საქმე 552, გვ. 5.*

საქმე იმაშია, რომ თავად-აზნაურთა საკრებულომ უარი განუცხადა გეურქ ელიაროვსა და მისი ოჯახის წევრებს აზნაურად წოდების მინიჭებაზე. სწორედ ეს დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს 1825 წლის 18 სექტემბრით დათარიღებულ საქართველოს უმაღლესი მთავრობის დასკვნას მათ მოთხოვნაზე, შეიცავს ჩვენთვის საინტერესო ინფორმაციას *[იხ. დოკ. 12]*.

Къ № 3967. получ. 23. Сентября 1825.

Выписка изъ заключенія Верховнаго Грузинскаго Правительства Общаго Собранія отъ 18. Сентября 1825. за № 101.

Представленная Тифлисскимъ жителемъ Гезурлемъ Казеннымъ Крестьяниномъ Гезурломъ Саркисовымъ Сыномъ Елиарашвили къ доказательству о дворянскомъ рода его происхожденіи грамота Царицы Русуданъ писанная 3го Іюля 1717 года пожалованна не на дворянское достоинство, а на имѣніе, не двумъ лицамъ сего имѣніемъ владѣютъ въ Грузіи и просто людины 2е Проситель Гезурлъ Елиарашвили состоитъ записаннымъ въ обществѣ казенныхъ крестьянъ 3е хотя называющійся дворяниномъ Кайхосро Поповъ сынъ Елиарашвили удостовѣряетъ, что дѣдъ Просителя Гезурла Демукардашъ есть братъ прадѣда его Кайхосра, но какъ означенный Кайхосро городѣ Арзрумѣ, тамъ сгенился отъ куда прибылъ уже внукъ его Демукардаша Гезурлъ и имѣетъ жительство въ Грузіи, которому показано въ семейномъ спискѣ въ 1821 году писанномъ 52 года, слѣдовательно дѣдъ его Гезурла Демукардашъ вышелъ изъ Грузіи назадъ тому до девяносто лѣтъ, почему князьямъ и дворянамъ не можетъ быть извѣстно родопроисхожденіе его тѣмъ болѣе, что многіе изъ князей и дворянъ не имѣютъ и 45 лѣтъ отъ роду, а потому общее Собраніе мнѣніемъ полагаетъ: Тифлисскому жителю Казенному крестьянину Гезурку Саркисову сыну Елиарашвили въ доискиваемомъ дворянскомъ достоинствѣ отказать, а князьямъ и дворянамъ подписавшимъ означенные Свидѣтельства сдѣлавъ въ присутствіи общаго Собранія строгій выговоръ, подтвердить, чтобы они впредь отъ дачи подобныхъ Свидѣтельствъ воздерживались, въ противномъ же случаѣ поступлено будетъ съ ними по законамъ. Дабы же отвратить на будущее время подобныя несправедливыя Свидѣтельства на лица, затрудненія могущія ввести въ ошибку, то предоставить Исполнительной Экспедиціи опубликовать по Грузіи, что если изъ сихъ кто изъ Грузинскаго дворянскаго Сословія дозволитъ себѣ свидѣтельствовать о неизвѣстномъ ему происхожденіи изъ доискивающихъ Княжескаго или дворянскаго достоинства людей, то неминуемо подвергнется отвѣтственности по всей строгости законовъ о каковомъ заключеніи Общаго Собранія съ приложеніемъ дѣла представить на благоусмотрѣніе и дозволеніе Вашего Превосходительства и о семъ дать разрѣшеніе.

по заключенію общаго Собранія 21. декабря 1823. года въ дворянскомъ достоинствѣ не признанъ то и свидѣтельство его на основаніи Законовъ не достаточно и 4е Князья и дворяне свидѣтельствуютъ, что Сыновья просителя Гезурка Карамана Александръ и Ефремъ происходятъ изъ той дворянской фамиліи, которая показана въ спискѣ приложенномъ при трактатѣ заключенномъ Россійскимъ дворомъ съ Грузинскимъ Царемъ Иракліемъ въ 1783. году, и что упомянутые въ грамотѣ Царицы Русуданъ Демукардашъ Сумуа Годерзій и Уркмазъ дворяне Елиаровы суть дѣйствительно предки ихъ Карамана ~~шви~~ Александра и Ефрема, и они происходятъ отъ нихъ по прямой Мужеской линіи, но таковое показаніе князей и дворянъ не справедливо: ибо изъ Свидѣтельства Кайхосра Елиара Швили видно, что еще прадѣдъ ихъ Демукардашъ вышелъ изъ Грузіи, имѣлъ жительство въ Турецкомъ

*12. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 2, ან. 1, საქმე 1708, გვ. 1-2ა.*

ამ დოკუმენტის მოკლე შინაარსი ტექსტის მცირე სტილისტური ცვლილებითა და დაზუსტებული შინაარსით, ასეთია:

„1) თბილისში მკვიდრი სახაზინო გლეხის, გეურქ სარქისის ძე ელიარაშვილის მიერ მისი ოჯახის აზნაურული წარმოშობის დასადასტურებლად წარმოდგენილი რუსუდან დედოფლის 1717 წლის 3 ივნისის სიგელი მათთვის მიცემულ იქნა არა კეთილშობილური ღირსებისთვის, არამედ მამულის საკუთრებისთვის, რომელიც მათ საქართველოში ექნებოდათ;

2) მთხოვნელი გეურქ ელიარაშვილი რეგისტრირებულია სახელმწიფო გლეხთა საზოგადოებაში;

3) იმის მიუხედავად, რომ ელიარაშვილის ვაჟი, რომელსაც აზნაურ ქაიხოსრო პაპას ძე ელიარაშვილს უწოდებენ, ადასტურებს, რომ გეურქი მისი ბაბუის დელუყარდაშის ძმაა, საერთო კრების 1823 წლის 21 დეკემბრის დასკვნის თანახმად, იგი არ იქნა აღიარებული აზნაურად და მისი ჩვენება კანონების მიხედვით საკმარისი არ არის;

4) თავადები და აზნაურები მოწმობენ, რომ აზნაურობის მთხოვნელი გეურქის შვილები ყარამანი, ალექსანდრე და ეფრემი თავადაზნაური საგვარეულოდან არიან, რომ 1783 წელს ერეკლე მეფის რუსეთის დადებულ ტრაქტატში და აგრეთვე რუსუდან დედოფლის სიგელში ხსენებული **დელუყარდაში, სულუა, გოდერძი და ურქმაში** ნამდვილად **ყარამანის, ალექსანდრესა და ეფრემის** წინაპრები არიან და ისინი მათგან მამაკაცური ხაზით მომდინარეობენ.

მაგრამ, თავადებისა და აზნაურების ეს ჩვენება არ არის სამართლიანი, რადგან ქაიხოსრო ელიარაშვილის ჩვენებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ **მათმა წინაპარმა დელუყარდაშმა დატოვა საქართველო და თურქეთის ქალაქ <u>არზრუმში</u> ცხოვრობდა, იქვე იქორწინა, საიდანაც ჩამოვიდა მისი, დელუყარდაშის შვილიშვილი გეურქი და ცხოვრობს საქართველოში**, რაც მისი ოჯახის სიაშია ნაჩვენები 1821 წელს, რომელიც დაწერა 52 წლის ასაკში. აქედან გამომდინარე, გეურქის ბაბუამ დელუყარდაშმა საქართველო დატოვა ოთხმოცდაათი წლის ასაკში, ამიტომ თავადებმა და აზნაურებმა არ იციან მისი წარმოშობა, მით უმეტეს, რომ თავადთა და აზნაურთა უმეტესობა 45 წლისაც არ არის. სახაზინო გლეხს, ტფილისის მკვიდრს, გურქ სარკისის ძე ელიარაშვილს უარი ეთქვას აზნაურის ტიტულზე. ხოლო, თავად-აზნაურებს მოცემულ ჩვენებებზე ხელმოწერის გამო გამოეცხადოთ სასტიკი საყვედური, რათა ამის შემდეგ თავი შეიკავონ ასეთი მტკიცებულებების მიცემაზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ კანონების შესაბამისად მოუწევთ პასუხისგება ...“

როგორც ამ დოკუმენტიდან ჩანს, გეურქ ელიაროვი არზრუმიდან ჩამოსულა საქართველოში, რაშიც ეჭვი არ შეუტანიათ, როგორც თავად-აზნაურთა საკრებულოში წარდგენილი დოკუმენტების ხელმომწერებს, ასევე ამ საკრებულოს ოფიციალურ ჩინოვნიკებს. ეს უკანასკნელი პირები არ იზიარებენ მხოლოდ იმას, რომ საქმის

ხანდაზმულობის გამო ქართველ თავადებსა და აზნაურებს შეიძლება ცოდნოდათ გეურქის ელიაროვისა და მისი წინაპრების წარმომავლობა, ტიტული და ა. შ. სამართლიანად უთხრეს თუ არა უარი აზნაურობაზე გეურქ ელიაროვს, ამის გარკვევა მისი წარმომავლობის დასადგენად თითქმის არაფერს გვაძლევს. აქედან ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ  იგი მართლაც ერზურუმიდან ყოფილა თბილისში ჩამოსული, ხოლო, მისი ძმა მიხეილი ასტრახანში დასახლებულა. მაგრამ, იყო თუ არა მათი ბაბუა დელუყარდაში თავის დროზე საქართველოდან ერზურუმში მიგრირებული, ანუ ქართველი თუ იქაური სომეხი, მხოლოდ ზემომოყვანილი მასალიდან, ამაზე ძნელია პასუხი.  ამიტომ, ვნახოთ რას მეტყველებენ სხვა დოკუმენტები.

თავად-აზნაურობის წოდების მაძიებელთა საარქივო დოკუმენტებში არის გეურქ ელიაროვის ბიძაშვილის ქაიხოსრო ელიარაშვილის საქმე, სადაც წერია, რომ მარიამ დედოფლის 1656 წლის სიგელით მის წინაპრებს **შავერდ** ელიაროვსა და მის ძმებს **პაპიას,** გიორგის და მის დეიდაშვილებს **ზაქარიას, იასონს, ურამაზს და ბაინდურს** გადაეცათ მათი წინაპრების მამულები სომხეთის სოფელ ჰუჯაბში *[იხ. დოკ. 13].* აღსანიშნავია, რომ ამ და ელიაროვთა აზნაურობის წოდების საარქივო საქმეებში თითქმის ყველგან მეორდება მარიამ და რუსუდან დედოფლების სიგელების, 1783 წ. ტრაქტატის და სხვა ზემოთ მოყვანილ დოკუმენტებში დასახელებული ფაქტები, ამიტომ, მათ აღარ ვიმეორებთ.


Общаго Собранія на счетъ неутвержденія
родалего въ дворянскомъ достоинствѣ, до
казательства суть слѣдующія: 1. Грамота
1653 года Царицы Маріи, коею она Еларову
Шавердію братьямъ его Папію, Георгію и
двоюроднымъ его же братьямъ Захарію,
Ясону, Урамазу и Вайхуру съ потом
ствомъ подтвердила наслѣдственное
имѣніе предковъ ихъ, состоящее въ
Сомхетіи деревни Худжабы со всѣми къ
оной принадлежностями и угодьями. 2
надпись 1770 года учиненная Царемъ
Иракліемъ на прошеніи къ нему отъ отц
Кайхосра попы Еліарова, коею онъ Ираклій
возвратить человѣка просителю
велѣлъ теръ шою именовавшагося чы
новленицъ сыномъ Есея Еліарова. 3.
Свидѣтельство 12 благородныхъ особъ,
данное Кайхосру попову и родственнику
Михаилу Сергѣеву сыновьямъ Еларовымъ
о дѣйствительномъ происхожденіи отъ
той дворянской Еларовской фамиліи,

*13. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 1, ან. 1, საქმე 486, გვ. 14ა.*

აქვე მოვიყვანთ მოწმობას, რომელშიც დასახელებულია ჩვენთვის საინტერესო ელიაროვთა წინაპრების სახელები, რომლებიც ქვემოთ დაგვჭირდება ისტორიული პარალელების გასავლებად *[იხ. დოკ. 14]*.




*14. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფონდი 213, აწ. 1, საქმე 431, გვ. 7.*

როგორც ზემოთ მოყვანილ ერთ-ერთ დოკუმენტში ვნახეთ, მართალია, ქაიხოსრო ელიაროვისთვის უარი უთქვამთ აზნაურობის მინიჭებაზე, მაგრამ, თვით ქაიხოსრო, ფარსადანი და ივანე ელიაროვები, დედასთან შუშანასთან ერთად, როგორც ჩანს, დაამტკიცეს აზნაურებად, რადგან მათ 1850 წელს შედგენილ თავად-აზნაურთა ოჯახების ნუსხაში ვხედავთ *[იხ. დოკ. 15].*



**ЭЛАРОВЫ.**

579. **КАЙХОСРО ПАПОВЪ.**
сыновья его: Яссе. Соломонъ. Григорій.

580. **ВДОВА ИВАНА, ШУШАНА.**
сыновья ея: Парсаданъ. Иванъ.

*15. ზ. ჭუმბურიძე, ქართლ-კახეთის თავადთა და აზნაურთა ოჯახები,
2005, გვ. 130*

თავად-აზნაურობის წოდების მაძიებელთა ამ საარქივო საქმეებში კარგად ჩანს გეურქ სარქისის ძე ელიაროვის ბაბუის, ბიძაშვილების და სხვა ნათესავთა სახელები: **დელუყარდაში,** პაპია, ესეი, შავერდა, ბაინდურ, ფარსადან და სხვ. იგივე სახელები ფიგურირებს ჩვენს მიერ გამოკვლეულ გეურქ ელიაროვის გენეალოგიურ ხეში, რომელიც სხვა დამატებითი ხასიათის დოკუმენტებზეა შედგენილი. სწორედ ამ სახელების საფუძველზე მოხდა შესაძლებელი მიგვეგნო გეურქის წინაპრების შესახებ არსებულ საბუთებისთვის და დაგვედგინა მათი პირველსაცხოვრისი, ე. წ. ბუდე-სოფელი. ვინაიდან ყველა ამ დოკუმენტის აქ წარმოჩენა დიდ ადგილს დაიკავებდა და ჩვენი მიზნისთვის საჭიროებასაც არ წარმოადგენს, ქვემოთ მოგვყავს ამ საბუთებში მოხსენებულ პირთა სახელები და დოკუმენტების არსებული ანოტაცია *[იხ. დოკ. 16].*



**ელიარაშვილები** – მ ო წ მ ე ნ ი შიოშ სეხნიაშვილის მიერ პაპუა ყაფლანისშვილის შვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1698 წ. Hd – –6622).

**ელიარაშვილი** – ნაზარალი-ხანმა მთავარეპისკოპოს [ქრისტეფორეს] და მის ძმებს უწყალობა პაპუას და მისი განაყოფების კუთვნილი მამული ე ლ ი ა რ ა შ ვ ი ლ ი თ და ბატონის ერთი კომლი ყმით (1693 წ. IY.3. Hd –2593).

**ელიარაშვილი ალიბეგა** – ძ მ ა ბაინდურ ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი ალიბეგა** – მ ო წ მ ე ყაზარას მიერ ბაინდურ გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1692 წ. II.15.1450–7/15).

**ელიარაშვილი ალხაზა** – შ ვ ი ლ ი დუშია ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი ასლანა** – ძ მ ი ს წ უ ლ ი დუშია ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი ბაინდურ** – ჰ ყ ა ვ ს ძ მ ე ბ ი: ფარსადან, ალიბეგა, დათია, გ ა ნ ა ყ ო ფ ე ბ ი: თამაზა, იხ., და სალმახანა იხ. [ელიარაშვილები], ალავერდა იასონისშვილთან ერთად მიჰყიდა ფარსელ არღუთაშვილს სტეფანოსის მიწა თამაზას მიწამდე (1684 წ. XI.26. 1450–29/8).

**ელიარაშვილი დავრიშა** – შ ვ ი ლ ი დუშია ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი დათია** – ძ მ ა ბაინდურ ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი დელუყარდაში** – მ ო წ მ ე ბერ ჰიჰაშვილის მიერ გივი [თუმანიშვილისათვის] მიცემული თავნასყიდობის წიგნისა (XYII ს. II ნახ. Hd –13058).

**ელიარაშვილი დუშია** – ბარბიჩნელი, ჰ ყ ა ვ ს შ ვ ი ლ ე ბ ი: დავრიშა, ალხაზა, ძ მ ი ს წ უ ლ ე ბ ი: პაპია, ასლანა. მ ი ჰ ყ ი დ ა ბაინდურ გოგიბაშვილს ზემო ბოლნისში, კალოს ნაპირას, ორი დღის მიწა: ბოვაძორის ვენახების ბოლოს– ერთი დღისა, საჰმანქის სამი დღისა და მდივანბეგის ზვრის თავს–დღენახევრისა (1687 წ. YI.1.1450–6/13).

[**ელიარაშვილი**] **თამაზა** – 1668–1699 წწ. გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბაინდურ ელიარაშვილისა, იხ., მ ო წ მ ე: ელიზბარ ზუნბადაშვილის მიერ ქაიხოსროვ ყორღანაშვილისათვის მიცემული ყმის ნასყიდობის წიგნისა (1668 წ. I.15. 1450–1/100), ბაინდურ ელიარაშვილის მიერ ფარსელ არღუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. X.26. 1450–28/8), შერმაზან ხურდაყულაშვილის მიერ პაპუა ორბელიშვილისათვის მიცემული მამულის ნასყიდობის წიგნისა (1699 წ. 1450–20/28).

**ელიარაშვილი პაპია** – ძ მ ი ს წ უ ლ ი დუშია ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი სალმახანა** – გ ა ნ ა ყ ო ფ ი ბაინდურ ელიარაშვილისა (1684 წ. 1450–28/8), მ ო წ მ ე: დავით ტერტერაშვილის მიერ ადუა არეშისშვილისათვის მიცემული ვენახის ნასყიდობის წიგნისა (1671 წ. X. 17. 1450–14/16), ბაინდურ ელიარაშვილის მიერ ფარსელ არღუთაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1684 წ. XI. 26. 1450–28/8).

**ელიარაშვილი ფარსადან** – ძ მ ა ბაინდურ ელიარაშვილისა, იხ.

**ელიარაშვილი შავერდა** – მ ო წ მ ე ფინეზას მიერ პაპია გოგიბაშვილისათვის მიცემული მიწის ნასყიდობის წიგნისა (1675 წ. II. 24. 1450–5/42).

*16. პირთა ანოტირებული ლექსიკონი,*
*ტ. II, თბ., 1993, გვ. 120*

რა თქმა უნდა, მოცემული დოკუმენტებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ელიარაშვილი **დელუყარდაში,** რომელიც აშკარად გეურქის ბაბუა უნდა იყოს. ამის თქმის უფლებას გვაძლევს ამ იშვიათი სახელების თანხვედრა, გვარის იდენტურობა და ქრონოლოგიური სიახლოვე. ამასთანავე, ჩვენ მივაკვლიეთ დოკუმენტებს, რომლიდანაც დგინდება ელიარაშვილთა ისტორიული განსახლების ადგილი სოფლების მიხედვით. ეს არის აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილის და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს *[იხ. დოკ. 17]*

ქ. სომხითს ბატონს დედოფლის აზნაურშვილები ელიარა-შვილნი:

ქ. დელუყარდაშასი შარქარს:

იერიბეგაშვილი სარქისა . . . კ̃ი ა თავი ა
ალიხანაშვილი ალიხანა . . . კ̃ი ა თავი ა
თამარაშვილი ევანეზა . . . კ̃ი ა თავი ა
ნაზარაშვილი სარქისა . . . . კ̃ი ა თავი ა
ევანეზაშვილი კირაკოზა . . . კ̃ი ა თავი ბ
ქ. ხუჯაბს: გრიქოლაშვილი სარქისა კ̃ი ა თავი ა
ყაზარაშვილი ფანოზა . . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო მარტიროზა მოლაშქრე

ქ. ზემო-ხუჯაბს: მჭედელი ამირალა კ̃ი ა თავი ა
გრიქოლაშვილი ერაპეტა . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო ხატია მოლაშქრე

ქ. ელიარაშვილის სულუასი შარქარს:
სარქისაშვილი არუთინა . . . კ̃ი ა თავი ა
მეზურნიშვილი არაქელა . . . კ̃ი ა თავი ა
ბასილაშვილი შანაზარა . . . კ̃ი ა თავი ა
დოლინაშვილი სარუხანა . . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო ალიხანა მოლაშქრე

ქ. ხუჯაბს: ყარახანაშვილი ჩანთაშა კ̃ი ა თავი ა
ხეჩიკაშვილი ნარიმანა . . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო მარტიროზა მოლაშქრე

ქ. ზემო-ხუჯაბს: ნესროფა კომლი კ̃ი ა თავი ა
ჩიჩიკაშვილი აკოფა . . . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო შავერდა

ქ. ელიარაშვილის დავითასი და ურქმაზასი შაქარს:
ჯავახიშვილი რამაზა . . . . კ̃ი ა თავი ა
ტირატურაშვილი ყულია . . კ̃ი ა თავი ა
ყარხანაშვილი ზაქუა . . . . კ̃ი ა თავი ა

ქ. ბეჟანიშვილისა ფარნისა:

მირიანაშვილი აბრამა, მენახევრე
ხოსრუა, ამათ კოდისპური ერ-
თი, კომლი ა, ლაშქარი ორი.
ქ. იესესა: ელიარაშვილი ხუცესი კ̃ი ა თავი ა

ქ. ზალია ელიარაშვილისა შაქარს:
ამირხანაშვილი ამირა . . . . კ̃ი ა თავი ა
კარაპეტაშვილი მამუა . . . კ̃ი ა თავი ა
თუმანაშვილი დათუა . . . . კ̃ი ა თავი ა
ქ. ხუჯაბს ველიაშვილი სულხანა კ̃ი ა თავი ა
ბოგანო კირაკოზა მოლაშქრე

ქ. ზემო-ხუჯაბს: ბალია . . . კ̃ი ა თავი ა
სააკა . . . . . . . . . კ̃ი ა თავი ა

ქ. ელიარაშვილის გოდერძასი შარქარს:
იერიჯანაშვილი ალიხანა . . . კ̃ი ა თავი ა
ამირჯანაშვილი ზალია . . . კ̃ი ა თავი
პეტროზაშვილი არუთინა . . . კ̃ი ა თავი ბ
ხუციშვილი ფანოსა . . . . კ̃ი ა თავი ა
დურიაშვილი ავეტიზა . . . კ̃ი ა თავი ბ
ქ. ხუჯაბს: ამირხანაშვილი კარაპეტა კ̃ი ა თავი ა
ქ. ზემოხუჯაბს: მეხბორიშვილი
არუთინა . . . . . . . კ̃ი ა თავი ა
დაუთაშვილი ალიხანა . . . კ̃ი ა თავი ა
ბოგანო სარუხანა მოლაშქრე

ქ. ელიარანთ საერთო ყმა ჭიმშქებში:
გლეხი . . . . . . . . . კ̃ი ა
კიდევ გლეხი . . . . . . კ̃ი ა
ბოგანო ა
ჯამი: კომლი ოცდათექვსმეტი, ბოგანო რვა.

ქ. შანავაზხანისა სომხითის სამწყვრის:

მარქარაშვილი სალმახანა . . . კ̃ი ა თავი ა
სარქისაშვილი ნიაზა . . . . კ̃ი ა თავი ა

ქ. ჭიმშურს ელიარაშვილები:

უყმო გიორგი
უყმო შანაზარა
უყმო ადიბეგა
უყმო დოლმაზა

*17. ე. თაყაიშვილი, მასალანი საქართველოს სტატისტიკურის აღწერილობისა მეთვრამეტე საუკუნეში, თბილისი 1907 წ. გვ. 245-247, 261, 284*

აქაც, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ინფორმაციაა მოცემული დოკუმენტის დასაწყისშივე ელიარაშვილი **დელუყარდაშის** სამკვიდრო სოფლისა და ტიტულის შესახებ, საიდანაც ეჭვგარეშე ხდება, რომ გეურქ ელიაროვის ბაბუა დელუყარდაში ისტორიული სომხითის სოფ. **შარქარიდან (შაქარა)** იყო *[სოფლის შესახებ იხ. დოკ. 18]*. ხოლო, ზემოთ განხილული თავად-აზნაურთა დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ რაღაც მიზეზის გამო, იგი ერზურუმში გადასულა საცხოვრებლად.

> 771. **შაქარას სოფელი—შარქარი**—სომხითში, ფოლადაურის მარჯვენა მხარეზე, შაინის სოფლ. დასავლ., წყლამის სოფლ. ალმ.-სამხრ. (რ); სიით 92 იხს. 1778 წ. (სიძვ. III—188) მებატონე ელიარაშვილი. 1721 წლ. აღწ. ითვლებოდა შარქარაში 1 მებატონე (დედოფალი), 5 მემამულე (აზნ. ელიარაშვილები), 20 გამომღები და 1 ბოგანო ყმა.

*18. ივს. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, ტ. I და II, თბ., 1935, გვ. 365*

ამრიგად, გეურქ სარქისის ძე ელიაროვის წინაპრების პირველსაცხოვრისი ადგილი ისტორიულ სომხითში მდებარე სოფ. შარქარი/შაქარა ყოფილა. ამასთანავე, ელიარაშვილებს უცხოვრიათ სოფ. ჭიმშურსა და ხუჯაბში. მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს მიერ გამოვლენილი დოკუმენტებში არსად არ არის დასახელებული ამ საგვარეულოსა თუ კონკრეტული პიროვნების ეროვნება, რაც გასარკვევი ხდება სხვა გზების საშუალებით.

ისტორიული სომხითის შესახებ მრავალი სპეციალური ნაშრომი არსებობს, რომლებშიც შესწავლილია ამ მხარის შექმნა, საზღვრები, მოსახლეობა და ა. შ. იგი იყო შუა საუკუნეების სამშვილდისა და ხუნანის საერისთავოების *[ისტორიული გაჩიანისა და გარდაბნის ტერიტორიები]* სახელწოდება, შედიოდა საქართველოში შექმნილ სომხით-საბარათიანოს სათავადოში, რომელიც არსებობდა XV-XVIII სს. ქვემო ქართლის ტერიტორიაზე. მასში სომხითი მოიცავდა ბოლნის-შულავერის ხეობებისა და მცირე ხევების ტერიტორიებს.

როგორც ცნობილია, ქართველთა მიერ სომხურ-კათოლიკური სარწმუნოების მიღება სხვადასხვა მიზეზით იყო განპირობებული, იმ დროისათვის ქართული საგვარეულოების მიერ გარკვეული პრივილეგიების, ან შიშის გამო სარწმუნოების დაფარვით, სახელის ან გვარის სუფიქსის შეცვლით. ამას ადასტურებს მრავალი ფაქტი, მათ შორის დავით მოურავისა და მოურავ ბაქრაძის შემდეგი ნაამბობი: ”სამშვილდეს *[ქვემო ქართლის ტერიტორიის დიდი ნაწილი]* მთელად ქართული სოფლები იყო, ამ სოფელთა მებატონენიც ორბელიანები იყვნენ, ზოგის ბარათოვები და მასთან სხვანიც. ყველა ამ სოფლის ქართველნი დიდს გაჭირვებაში ჩავარდნენ, მტერი მუსრს ავლებდა, შველა არსაიდან იყო. გლეხკაცობა უპატრონოდ დარჩა, მტერი გურჯებს სიკვდილით ემუქრებოდა. ეს ყველამ კარგად იცოდა, ამიტომ ზოგ სოფელში ქართველთ თავი სომხად აცნობეს და გადარჩნენ სიკვდილს” *[გაზ. ”სამშობლო” 1915 წ. #178]*. ქართველს ტანჯვა-

წამება, დევნა, ფიზიკური რისხვა თავიდან რომ აეცილებინა, იძულებული იყო უარეყო საკუთარი თავი. ისინი, როგორც წესი, ჩამომავლობით ქართველები იყვნენ, ხოლო სარწმუნოებით კათოლიკენი გახდნენ. მოსახლეობის დიდი ნაწილი თურქებმა მათდა დაუკითხავად სომხურ-კათოლიკური სამღვდელოების კონსისტორიას (საკრებულოს) მიაწერეს და "სომეხ-კათოლიკებად" (სომხად) ჩაითვალნენ. მთელ ამ მრევლს სომეხი მღვდელი დაენიშნათ და ღვთისმსახურებაც სომხურად სრულდებოდა *[ი. ახუაშვილი, ქართული გვარ-სახელები, თბილისი 1994, გვ. 86, 99-100, 109].* ამავე საკითს საინტერესო ნაშრომი მიუძღვნა მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ, საიდანაც ერთ ამონარიდს მოვიყვანთ *[იხ. დოკ. 19].*

გასომხებულთა გვარები

ქართველ მონოფიზიტებს ვახუშტი ბაგრატიონი „სარწმუნოებით სომეხებს
უწოდებდა, მათი ენა, ქცევა-ზნე და ცხოვრების წესი ქართული იყო.
ის ქვემო ქართლის „სომხობის" შესახებ წერს: „იმ ადგილთა შინ
მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოების
არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა" (ტ.IV, გვ.312).
ვახუშტის ამ ცნობაში, როგორც ვხედავთ, ყურადღება თითქოს ძირითადა
გამახვილებულია სარწმუნოებრივ მომენტზე, რომლის გვერდით ეთნიკურობი
ცნება სადღაც ქრება[55].
„ნიშანდობლივია, რომ სარწმუნოებრივი კუთვნილების გარეშე მოხსენიებულ
თბილისის სომხების მიმართ ვახუშტი კულტურული ქართველობის აღნიშვნ
იმავე გამოთქმას იყენებს"[56].
ზ.ჭიჭინაძე საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხს არ უწოდებდ
ქართველი გრიგორიანს. ის მხოლოდ სომხური ეკლესიის წევრ ქართველებ
უწოდებდა ამ სახელს. აგრეთვე ზ.ჭიჭინაძე არ ფიქრობდა, რომ თბილისში
მცხოვრები ყველა სომეხი ეროვნებით ქარველი იყო.
ის წერდა, რომ თბილისის სომხებში შეიძლება ნახევარი სომხურ
სარწმუნოების მქონე ქართველები აღმოჩნდესო. მას ამის თქმის უფლებ
აძლევდა თავისი პირადი დაკვირვება და გამოკითხვა ცოცხალი ადამიანების
— სწორედ ამგვარი „სომხებისა". ის წერდა — „...დღეს მთელი ქართლ-კახეთ
და მასთან იმერეთიც სავსეა ქართველი გრიგორიანებით, მათ ყველ
კარგად ეტყობათ, რომ ეგინი შთამომავლობით ნამდვილიქართველები უნდ
იყვნენ და არა სომეხნი, ყველა ეს კარგად ეტყობათ მათ, ვინც
დააკვირდება, ყველა ცხადად შენიშნავს, რომ თუ სულ არა, უმეტეს
ნაწილი ამ გრიგორიანებისა უნდა იყვნენ ნამდვილად შთამომავლობი
ქართველნი. ამას ეჭვი და ყოყმანი არ უნდა, თუკი ვინმე დააკვირდებ
სამწუხაროდ ამის დაკვირვება ქართველებს სრულებით არა აქვსთ... დღ
მთელმა საქართველოს ერმა რომ გრიგორიანთ სარწმუნოებმა მიიღოს, მა
შემდეგ იგიც თავის გვარტომობას, ე.ი. ქართველობას უნდა გამოეთხოვოს?
თამამად ვიტყვით, რომ რაც ქართველთაგან გაფრანგებულია, ასი იმდენ
გასომხებულა, ახალციხე ერთ დროს გასომხებულ ქართველებით იყო სავს
იქ ქართველთა რიცხვი გაფრანგებულ და გასომხებულ ქართველთაგ
შესდგებოდა და ორივე კი მაინც სომხად იწოდებოდნენ...

*19. ა. ჯაფარიძე, ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება,*
*თბ., 1999, გვ. 34*

როგორც ზემოთ განხილული თავად-აზნაურთა დოკუმენტებში ვნახეთ, გეურქ ელიაროვი და მისი დასახელებული ნათესავები თავის გვარს ელიარაშვილიბად, ანდა ელარაშვილებად ასახელებენ, ანუ, იყენებენ ქართულ სუფიქსს, რითაც მინიშნებულია მათი ქართველური წარმომავლობა. ამას შეიძლება დავუმატოთ ისიც, რომ არა მხოლოდ

გვარის სუფიქსი, არამედ მისი ფუძე არ ჩანს სომხური, სპარსული თუ ოსმალური. ელია არის ძველი ებრაული სახელი, რაც ნიშნავს „ღმერთი ჩემი – იეღოვა“, ან, " ღმერთი ჩემი სიმაგრე " და ერთ-ერთი ბიბლიური წინასწარმეტყველის სახელია, რომელიც არაერთგზის იხსენიება უძველეს ქართულ ტექსტებში: "და ხეჩუენნეს მათ მოსე და ელია მის თანა" *[მათე 17, 3]*. ბერძნულიდან მომდინარე გვიანდელი ფორმა ამ სახელისა არის ილია, ელია და სხვ. მაგალითად, სახელს ელიაკიმ ვხვდებით ქართლის ცხოვრების ტექსტში *[იხ. დოკ. 20]*, რომლის საფუძველზე ეს სახელი პროფ. ალ. ღლონტს შეტანილი აქვს ქართველურ საკუთარ სახელების წიგნში *[თბ., 1986, გვ. 117]*. ხოლო, პროფ. ზ. ჭუმბურიძის მიხედვით ამ სახელებისგან წარმოქმნილი ქართული გვარებია: ელიაშვილი, ელოშვილი, ელიაძე, ელიავა, ელიაური *[ზ. ჭუმბურიძე, რა გქვია შენ? თბილისი 2003]*. რა თქმა უნდა, ამ გვარ-სახელთა ჩამონათვალს ელიარაშვილი უნდა დაემატოს. ცნობილია, რომ ქართული გვარები, ისევე როგორც სხვა ხალხთა გვარების უდიდესი ნაწილი, წარმოქმნილია წინაპართა სახელების ან მეტსახელებისაგან (ეპონიმებისაგან). ამიტომ, გვარი ელიარაშვილის ეტიმოლოგია/წარმომავლობა უნდა დაუკავშიროთ ბიბლიურ საკუთარ სახელ **ელიარ**-ს, ანუ ამ გვარს საფუძვლად უდევს ეს სახელი, ხოლო სუფიქსი ‘შვილი’ - ს დართვით მივიღეთ გვარი ელიარაშვილი.



ცხოვრება და უწყება ბაგრატონიანთა[1]

ჩუენ ქართველთა მეფეთასა, თუ სადათ მოიწივნეს ამას ქუეყანასა იგინი, ანუ რომლით ჟამითგან უპყრიეს მათ მეფობა ქართლისა, რომელი აღწერა

სუმბატ ძემან დავითისმან[2]

[3] ადამ შვა სეით. სეით შვა ენოს. ენოს შვა კაინან. კაინან შვა მალელ. მალელ შვა იარედ. იარედ შვა ენოქ. ენოქ შვა მათუსალა. მათუსალა შვა ლამექ. ლამექ შვა ნოე. ნოე შვა სემ. სემ შვა არფაქსად. არფაქსად შვა კაინან. კაინან შვა სალა. სალა შვა ებერ. ებერ შვა ფალეკ. ფ|ალეკ შვა რაგავ. რაგავ შვა სერუქ. სერუქ შვა ნაქორ. ნაქორ შვა თარა. თარა შვა აბრამ. | აბრამ შვა ისაკ. ისაკ შვა იაკობ. იაკობ შვა იუდა. იუდა შვა ფარეზ. ფარეზ შვა ესრომ. ესრომ შვა არამ. არამ შვა ამინადაბ. ამინადაბ შვა ნაასონ. ნაასონ შვა სალმონ. სალმონ შვა ბოოს. ბოოს შვა იობედ. იობედ შვა იესე. იესე შვა დავით მეფე. დავით მეფემან შვა სოლომონ. სოლომონ შვა რობუამ. რობუამ შვა აბია. აბია შვა ასაფ. ასაფ შვა იოსაფატ. იოსაფატ შვა იორამ. იორამ შვა ოზია. ოზია შვა იოთამ. იოთამ შვა აქაზ. აქაზ შვა ეზეკია. ეზეკია შვა მანასე. მანასე შვა ამონ. ამონ შვა იოსია. იოსია შვა იოვაკიმ. იოვაკიმ შვა იექონია, იექონია შვა სალათაელ. სალათაელ შვა ზორაბაბელ. ზორაბაბელ შვა აბიუდ. აბიუდ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა აზორ. აზორ შვა სადუკ. სადუკ შვა აქიმ. აქიმ შვა ელიუდ. ელიუდ შვა ელიაზარ. ელიაზარ შვა მატათან. მატათან შვა იაკობ. იაკობ შვა იოსებ, ქმარი მარიამისი და მმა კლეოპასი. კლეოპა შვა ნაომ. ნაომ შვა სალა. სალა შვა რობუამ. რობუამ შვა მოხთარ. მოხთარ შვა ელიაკიმ. ელიაკიმ შვა ბენიამენ. ბენიამენ შვა იერობემ. იერობემ

*20. ქართლის ცხოვრება, ტ. I, თბ, 1955, გვ. 172*

საისტორიო წყაროებიდან ისიც ჩანს, რომ ჩვენთვის საინტერესო ელიაროვები არა მხოლოდ თავის გვარს ელიარაშვილიბად/ელარაშვილებად ასახელებენ, არამედ აღნიშნავენ, რომ მათი გვარი იხსენიება ცნობილ 1873 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის აზნაურთა სიაში. შესაძლოა მათ იცოდნენ კიდევაც, რომ იქ ისინი ელარაშვილებად

იწერებიან. ეს ასეც არის, ამ დოკუმენტში მათი გვარი წერია როგორც ელარასშვლი, ანუ ელარაშვილი *[იხ. დოკ. 21]*. როგორც ცნობილია, უმრავლეს ქართულ საისტორიო წყაროში გვარსახელების მართლწერა რაიმე კანონზომიერებას არ ექვემდებარება. ნათესაობითი ბრუნვის 'ს'–ანიანი ფორმა ორნაირად იყოს ჩაწერილი (მაგ., ხუცისშვილი და ხუცის შვილი). ასევეა შეკვეცილი 'ს'–ანიანი ფორმის გვარებიც (მაგ., ბერუას შვილი და ბერუაშვილი). არცერთ შემთხვევაში 'ს'–ანიანი ან განცალკევებული ფორმები იმას არ ნიშნავს, რომ ხუცი ან ბერუა არის ვიღაცის ძე/შვილი, ეს მხოლოდ გვარსახელის დაწერის ძველი ფორმა/წესი იყო.

**ერეკლე**
ივნისის კზ, წელსა ჩღპგ

**სახასო აზნაურნი ამის ქუეით დაიწერებიან**

აზნაური ელარასშვილი
16. ელარაშვილი

*21. იოსებ ბიჭიკაშვილი,*
*httpdspace.nplg.gov.gebitstream123447192Danarti.pdf*

აზნაურ ელარაშვილზს იცნობს ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მეცნიერი იოანე ბაგრატიონ-ბატონიშვილი (1768-1830), რომელიც მათ ოსეთიდან მოსულ აზნაურებად მიიჩნევს *[იხ. დოკ. 22]*. მართალია, იოანეს ნაშრომი მნიშვნელოვან და ძვირფას წყაროს წარმოადგენს ქართული გენეალოგიისათვის, მაგრამ, ზოგიერთი მისი ცნობა არადამაჯერებლად გამოიყურება და მოითხოვს დამატებით მეცნიერულ შესწავლას, რაც ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს. თუმცა, ვინაიდან მკითხველს უცნაურად მოეჩვენება იოანეს მიერ ქართული გვარის წარმომავლობის დასახელება ოსეთიდან, საჭიროდ ჩავთვალეთ მოკლეთ განვმარტოთ ამის მიზეზი.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ფეოდალური ხანის თითქმის ყველა ქვეყანაში ყოველი დაწინაურებული გვარი თავისი წინაპრების უცხო სახელმწიფოთა რომელიმე წარჩინებული გვარის ნათესავად წარმოჩენის სურვილით იყო შეპყრობილი. მაგალითად, რუსეთის ზოგიერთი დიდგვაროვანი ცდილობდა დაესაბუთებინა, თითქოს მისი მოდგმა ვარიაგებისაგან (ვიკინგებისაგან) მოდიოდა. შორს რომ არ წავიდეთ, საქართველოში ბაგრატიონები თავიანთ შთამომავლობას მიაკუთვნებდნენ ებრაელთა მეფეებს - ბიბლიურ იესეს, დავითსა და სოლომონს. მათი ტიტულაცია ხომ ასე იწყებოდა: "ჩვენ იესიან, დავითიან, სოლომონიან ბაგრატოვანმან..." ცნობილია, რომ ორბელიანები ჩინელებს აცხადებდნენ წინაპრებად. ასევე უცხოელობდნენ წინაპრებით ამილახვრები, ერისთავები, ციციშვილები და სხვ. პროფესორი იასე ცინცაძე სამართლიანად აღნიშნავს *[რუსეთის ადრეფეოდალური სახელმწიფო, თბილისი 1968, გვ. 26]*, რომ გვარის არარსებულ ისტორიას იმისათვის თხზავდნენ, რომ ადგილობრივი გაბატონებული წრეებისაგან განსხვავებულიყვნენ და სხვებისაგან განსხვავებით მფლობელობის უფლებები თითქოს

იმთავითვე უცხო ქვეყანაში ჰქონოდეთ მათ წინაპრებს მინიჭებული. აკადემიკოს გიორგი მელიქიშვილის აზრით, "ხშირად ასეთ შემთხვევაში მხოლოდ მმართველი ფენის, დინასტიის წარმომავლობას ეხებოდა საქმე, რომელიც ამით ცდილობდა კიდევ უფრო მკვეთრად გამიჯვნოდა თავისი ხალხის ძირითად მასას" *[საქართველოს ისტორიის ნარკვევები, თბ. 1970, ტ. I, გვ. 313].*



58. აზნაური ელარაშვილი.

ამათნი წინა-პარნი არიან ძველად კავკასიის მთით მოსრულნი ოსთა აზნაურთაგანი. ცნობილან 1719 წ. ელიყანას შვილებად, რომლისა გამო გაუგვარდათ ილარის შვილობა. და იწოდებიან ესენიცა ილარის შვილად და არიან აზნაურადვე ცნობილნი დროსა მეფისა თეიმურაზისა და ვახტანგისასა და ტრაქტატსა შინაცა არიან მოხსენებულნი.

*22. იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, თბ., 1997, გვ. 64*

რა თქმა უნდა, ჩვენ გამოვიკვლიეთ ელიარაშვილების მოცემული შტოს თბილისში XIX საუკუნის მოსახლეობის დოკუმენტები, ე. წ. კამერალური აღწერები და სხვ., ანუ, მათი აქ ჩამოსვლის შემდეგდროინდელი პერიოდი, სადაც მათი გვარი პრივილეგიების ან შიშის გამო -**ვი** სუფიქსით იყო ფორმირებული - ელიაროვი. 1803 წლის თბილისის მოსახლეობის ყველაზე ადრეულ ამ ხასიათის დოკუმენტებში, რომელიც გამოაქვეყნა პროფ. ს. კაკაბაძემ, ეს გვარის არ ფიგურირებს, არიან ელიაზაროვები *[იხ. დოკ. 22].*



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 555 | Груз. Семен Елиазаров . . | 3 | 3 | 2 | Царицы Дарьи |
| 592 | Армянка вдова Елаазарова . | 1 | 1 | — | Казенная |

*23. ს. კაკაბაძე, ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა, ჟურნ. საისტორიო მოამბე, 1925 წ. წიგნი II, გვ. 71-72*

რატომღაც ელიაროვები არ ჩანან მომდევნო წლების აღწერებშიც და არც მათი ნათესავები ფიგურირებენ ამ დოკუმენტებში. ერთ-ერთ საბუთში თბილისის პოლიციაც ადასტურებს, რომ 1817 წლის კამერალურ აღწერაში ფარსადან და ივანე ელიაროვები არ ირიცხებიან *[იხ. დოკ. 23].*


ковую Тифлисская Градская Полиція увѣдомляетъ что доказывающіе Дворянское достоинство Парсаданъ и Иванъ Ивановы сыновья Еліаровы по Камеральному описанію о людяхъ податнаго состоянія въ 1817 году учиненномъ не записаны и нынѣ казенныхъ податей не вносятъ; то Грузинское Дворянское Депутатское Собраніе Положило: во исполн
საქართველოს National
არქივი Archives of

*24. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 213, ან. 1, საქმე 431, გვ. 14.*

მხოლოდ 1848 წლის თბილისის კამერალურ აღწერებში მივაკვლიეთ ელიაროვებს *[იხ. დოკ. 24]*, რომელთა ნათესაური კავშირი გეურქ ელიაროვთან არ იკვეთება და არც მათი ეროვნებაა ჩაწერილი.

- ელიაროვი პეტრე - 25 წლის
  მისი ვაჟიშვილი ეგორი - [ახალდაბადებული]
- ელიაროვი შერმაზან - 65 წლის
  მისი ვაჟიშვილები: სოლომონ - 16 წლის; არტამაზ - 14 წლის
- ელიაროვი დავით - 25 წლის
- ელიაროვი ივანე - 35 წლის

*25. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 254, ან. 1, საქმე 2388-ბ., გვ. 125ა, 129ა, 130ა.*

ი. მახლევიჩი კი რატომღაც გაურკვეველ საფუძველზე, წყაროზე მითითების გარეშე თვლის, რომ გეურქ ელიაროვი სომეხთა ოჯახს განეკუთვნებოდა-ო *[იხ. დოკ. 1]*. არც ის ჩანს, რას ეყრდნობა იგი, როდესაც ამბობს, რომ გეურქი მეიარაღეთა ოჯახიდან იყო, რომლებმაც მას მემკვიდრეობით გადასცეს ამ საქმის საიდუმლოება. ამასთანავე, მის მიერ მითითებულ საარქივო დოკუმენტში გეურქის გვარი არის ელიარაშვილი და არა ელიაროვი როგორც ამას ი. მახლევიჩი წერს. თვით ამ საქმის ანაწერშიც გეურქი ელიარაშვილია *[იხ. დოკ. 25]*.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1708 | оп.1 1464 | 907 | Выписка из заключения Общего собрания Верховного грузинского правительства и представление главноуправляющего в Грузии в Сенат о происхождении тифлисского жителя государственного крестьянина Элиарашвили Геурка, претендующего на дворянство. | 23 сен 1825 8 мар 1826 | 4 |

*26. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, ან. 1.*

ვიდრე საბოლოო დასკვნას გავაკეთებთ, მოვიყვანთ რამდენიმე ამონარიდსაც.

გარკვეული საისტორიო წყაროებისა და ლიტერატურის ანალიზის შემდეგ, მკვლევარი შ. კაკულია წერს:

ამდენად თბილისის სომხების საგრძნობი ნაწილი თავისი წარმოშობისა თუ საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად, მიუხედავად თავისი კონფესიონალური მდგომარეობისა, ქართულ ან გაქართველების გზაზე მდგომ მოსახლეობას წარმოადგენდა.

ეს გარემოება არ გამორიცხავდა გასომხების შემთხვევებსაც. იაკობ გოგებაშვილი 1897 წელს აღნიშნავდა, რომ თბილისში მცხოვრებ მდიდარ სომეხ სოლოლაკელებს შორის შეიძლება დავასახელოთ არა ერთი და ორი გვარი, რომელთა წინაპარნიც ქართველი მართმადიდებელნი იყვნენო[55].

[55] Я. Гогебашвили, Правда о Тифлисе, 1897, с. 24 — 26.

*27. შ. კაკურია, თბილისის მოსახლეობა 1803-1870 წწ. თბ., 1979, გვ. 48*

ჯერ კიდევ გასული საუკუნეების ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწისა და ლიტერატორ-ისტორიკოსის ზაქარია ჭიჭინაძის (1853-1931) ნაშრომიდან კარგად ჩანს, რომ ე. წ. 'გასომხებული ქართველები' გვართან ერთად სომხურ სახელებსაც ირქმევდნენ:

ძველადგანვე თფილისის ნამდვილ სომხის შთამომავალ მოქალაქენი თავისუფლად ყიდულობდნენ ქართველთ ყმა გლეხებს, მათა ჰფლობდნენ როგორც უნდოდათ და თან თავიანთ სჯულზედაც მიაქცევდნენ. თვით ქართველთ ყმათა მდგომარეობაც ისეთი იყო რომ მრავალნი დევნილნი ყმანი ეთვისებოდნენ სომეხთა, დევნილნი სომხურს გვარსა და სახელებს ირქმევდნენ, სომხურად ინათლებოდნენ და მით გადირჩენდნენ ხოლმე თავებს. ამის ნიშნები მოთხრობა „სურამის ციხე"-შიაც არის მოყვანილი, სადაც ერთი ოჯახი, ბატონისაგან დევნილნი სომხდებიან საიდუმლოდ, სახელსა და გვარსა იცვლიან და მით ატარებენ დროს, ჩვენს ძველს დროს ასეთი მაგალითების ერთი და ორი კი არ მომხდარა, არამედ რამდენიმე ასი და ათასი, იმერეთიდგან თუ დევნილნი ყმანი აქეთ მორმოდნენ, მიტომ აქაურნიც განჯა, ერევან-ყარაბაღისაკენ მირბოდნენ და მით იფარავდნენ თავს ბატონ-ყმობისაგან,

*28. ზ. ჭიჭინაძე, ქართველი გრიგორიანელები, თბ., 1906, გვ. 68*

# გეურქ ელიაროვის გენეალოგია

ჩვენ გამოვიკვლიეთ გეურქ ელიაროვის გენეალოგია, რომლის შესახებ გაგვაჩნდა სპეციალურ ლიტერატურაში (პ. გუგუშვილი, კ. ჩოლოყაშვილი, ვ. გონგაძე, ე. ასტვაცატურიანი...) და საისტორიო წყაროებში არსებული (Акты, собранные Кавказской археографической комиссией; Кавказский Календарь...) ინფორმაცია, რომლის მიხედვით იგი იყო საქართველოსა და რუსეთის იმპერიაში სახელგანთქმული საომარი იარაღის ოსტატი XVIII ს. დასასრულსა და XIX ს. დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ ამ ინფორმაციაში გეურქ ელიაროვის შესახებ გენეალოგიური ხასიათის მონაცემები არ გვხვდება. ამასთანავე, დასახელებულ წყაროებში იგი ფიგურირებს სხვადასხვა გვარ-სახელით: იაგორ, გიორგი ელიაზარაშვილი, ელიაზაროვი და ა. შ.

დასახელებული პერიოდის გენეალოგიური კვლევისთვის საჭირო ისეთ ძირითად დოკუმენტებში, როგორიცაა საეკლესიო მეტრიკული წიგნები და მოსახლეობის ე. წ. კამერალური აღწერები, გეურქ ელიაროვის შესახებ ცნობები არ იძებნება. თბილისის 1803 წლის მოსახლეობის აღწერაში, რომელიც გამოაქვეყნა პროფ. სარგის კაკაბაძემ, ფიგურირებენ მხოლოდ სიმონ ელიაზაროვი და ქვრივი ელააზაროვი *[იხ. ს. კაკაბაძე, ქალაქ ტფილისის აღწერა 1803 წლისა, საისტორიო მოამბე, 1925 წ. წიგნი II, გვ. 71-72].* XIX ს. პირველი ნახევრის თბილისის კამერალურ აღწერებში გამოვლინდა ელიაზაროვთა სხვა ოჯახებიც, მაგრამ, მათი კავშირი გეურქ ელიაროვთან არ ჩანს *[იხ. ქვემოთ მოცემულია სია].*

**1834 წ.** თბილისი
-ელიაზაროვი გრიგორი 28 წლის *[Греческий торговец].*
*წყარო: საისტორიო არქივი, ფონდი 254, ან. 1, საქმე 1424, ფაილი 396*

-ელიაზაროვი დავით - 45 წლის *[Шапошник. გარდაიცვალა 1862 წელს]*
მისი ვაჟიშვილი ისააკ - 9 წლის.
*წყარო: იქვე, ფაილი 76*

**1848 წ.** თბილისი
-ელიაზაროვი გიორგი 50 წლის *[მიწათმოქმედი]*
მისი ვაჟიშვილები: იოსებ -19 წლის; სოლომონ - 18 წლის; ზახარი - 16 წლის(მოკვდა 1850 წ.); ემზარ - 12 წლის; გაბრიელ - 4 წლის.
*წყარო: საისტორიო არქივი, ფონდი 254, ან. 1, საქმე 2388-ბ., გვ. 49ა.*

-ელიაროვი პეტრე 25 წლის [მღვდელი]
მისი ვაჟიშვილი ეგორი - ного [ახალდაბადებული]
*წყარო: იქვე, გვ. 125ა.*

-ელიაროვი შერმაზან 65 წლის
მისი ვაჟიშვილები: სოლომონ - 16 წლის; არტამაზ - 14 წლის.
*წყარო: იქვე, გვ. 129ა.*

-ელიაროვი დავით - 25 წლის
*წყარო: იქვე, გვ. 129ა.*
-ელიაროვი ივანე - 35 წლის
*წყარო: იქვე, გვ. 130ა.*

რა თქმა უნდა, ამის შემდეგ გამოვიკვლიეთ სხვა საარქივო ფონდები, რომლებშიც გამოვლინდა ჩვენთვის საინტერესო დოკუმენტები. ამ თვალსაზრისით, განსაკურებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა 'საქართველოს უმაღლესი მმართველობის საერთო კრების' ფონდი №1, რომელშიც მოცემულია გეურქ ელიაროვის შვილის ყარამან ელიაროვის მიერ შედგენილი გენეალოგიური ხე *{იხ. დოკ. 1}.* იქვე არის 1821 წლით დათარიღებული გეურქ ელიაროვის ოჯახის შემადგენლობა *{იხ. დოკ. 2}.* ამ დოკუმენტების საფუძველზე დგინდება გეურქ ელიაროვის მამაკაცი წინაპრების სახელები, მისი და მისივე ოჯახის წევრთა დაბადების თარიღები, რომელთა საფუძველზე ჩვენ შევადგინეთ ახალი გენეალოგიური ხე *{იხ. დოკ. 3}.*



1. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1, ან. 1, საქმე 552, გვ. 7.



| Имя и прозванiе дворянина въ томъ уѣздѣ имѣнiемъ недвижимымъ владѣющаго и его лѣтъ. | Холостъ или женатъ и на комъ или вдовъ. | Много ли дѣтей мужескаго или женскаго пола и какъ имена и лѣта. | Сколько за нимъ по послѣдней ревизiи наслѣдственныхъ или купленныхъ или въ приданное полученныхъ обоего пола душъ состоитъ и во сколькихъ селахъ или деревняхъ | Въ уѣздѣ ли онъ живетъ того дворянина или въ отлучкѣ. | Какого онъ чина. | Въ какой именно службѣ или въ отставкѣ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| Георгъ Саркисовъ сынъ Еліарамъ Швили Тифлискаго уѣзда 52-хъ лѣтъ. | Женатъ на Протоіерейской дочери Марiи Григорьевой дочери. | Имѣетъ сыновей 1е Якова 24-хъ 2е Кермана 18 3е Александра 14. Игрумъ 12 дочерей Кали 20 Осаны 10 и Майя 8 лѣтъ | За разореніемъ помѣстія своего въ Тифлискомъ уѣздѣ не имѣетъ. | Въ городѣ Тифлисѣ. | Не имѣетъ | Ни въ какой службѣ. |

Подлинной подписалъ Георгъ Саркисовъ сынъ Еліаровъ
Вѣрно Секретарь дворянства [signature]

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

2. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფონდი 1, ან. 1, საქმე 552, გვ. 9.

## გენეალოგიური ხე




3.

რაც შეეხება გეურქ ელიაროვის გარდაცვალების თარიღს, იგი ჯერ-ჯერობით ზუსტად არ დგინდება. 1821 წლით დათარიღებული მისი საოჯახო სიის მიხედვით, ამ დროს გეურქი ცოცხალია. მაგრამ, ზემოთ მოცემული გენეალოგიური ხის რუკა, სადაც შესულია ეს დოკუმენტი, საარქივო საქმის მიხედვით შედგენილია 1825-1834 წწ. *[იხ. დოკ. 4.]* თუმცა, 1830 წ. ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს მისი შვილის ალექსანდრეს თხოვნის წერილს გუბერნატორისადმი, იმ დროს გეურქ ელიაროვი ცოცხალი აღარ არის, რადგან ალექსანდრე ამ წერილს იწყებს სიტყვებით: „გარდაცვლილი ჩემი მამა...“ *[იხ. დოკ. 5]*. მისივე თქმით, გეურქს თბილისის მე-2 ნაწილის პირველ კვარტალში გააჩნდა ფარდულები და ითხოვს მასზე დაშენების უფლებას *[იხ. დოკ. 6]*. ამასთანავე, არსებობს 1825 წლის 13 აგვისტოს საქართველოს მთავრობის წერილი, რომელიც წარმოადგენს ამონაწერს საქართველოს თავად-აზნაურთა საკრებულოს დოკუმენტიდან, რომელთაც განუხილავთ გეურქ სარქისის ძე ელიარაშვილის საქმე მისთვის აზნაურობის მინიჭების შესახებ *[იხ. დოკ. 7]*. მასში მოყვანილია ჩვენს მიერ უკვე განხილული ფაქტები, რომლითაც ელიარაშვილები ამტკიცებენ თავიანთ აზნაურულ წარმომავლობას, ამიტომ, მათ აღარ გავიმეორებთ.

ამრიგად, გეურქ ელიაროვის გარდაცვალების ზუსტი თარიღის დადგენა ჯერ-ჯერობით ვერ ხერხდება. მაგრამ, ამის გასაკეთებლად კვლევების გაგრძელება შესაძლებელია, რომელიც ძირითადად უნდა განხორციელდეს თბილისის იმდროინდელ საეკლესიო მეტრიკულ ჩანაწერებში, რომლებიც ინახება საქართველოს ეროვნულ არქივებში. აღსანიშნავია, რომ ვინაიდან უცნობია რომელ ეკლესიაში გაკეთდებოდა გეურქ ელიაროვის გარდაცვალების ჩანაწერი, ასეთ კვლევას დიდი დრო დასჭირდება ვინაიდან, ამ არქივებში თბილისის დაახლოებით 70 სხვადასხვა ეკლესიის მეტრიკული წიგნები ინახება. რა თქმა უნდა, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ ასეთი ჩანაწერი არ გაკეთებულიყო, ანდა, გაკეთდა, მაგრამ არქივებმა იგი არ შემოინახა.



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 552 | 389 | 24 | Дело об утверждении Елиарова Г.С. с сыном в дворянском происхождении | 13 авг 1825 17 фев 1834 | 26 |

*დოკ. 4.*



№ 262

24 Генв. 1830 1



Его Превосходительству

Грузинскому Гражданскому Губернатору Господину Статскому Совѣтнику и кавалеру Петру Демяновичу Завелейскому

Канцеляриста Александра Геуркова сына Эмарова

Прошеніе.

Покойный отецъ мой Императорскій оружейникъ Геуркъ имѣлъ три лавки состоящія Города Тифлиса 2й части 1го Квартала которые въ 1827 году по приказанію покойнаго Военного Губернатора Сипягина сломаны а для постройки вмѣсто оныхъ вновь трехъ лавокъ, и сверху оныхъ жилыхъ комнатъ выданъ намъ фасадъ, почему тогожъ года оные лавки нами выстроены, а верхняго этажа жилые комнаты по несостоятельности нашей оставались понынѣ не выстроенными, нынѣ я намѣренъ произвесть постройку оныхъ, и какъ указомъ Правительствующаго Сената всѣмъ тѣмъ жителямъ кои производутъ вновь постройку домовъ въ Городѣ Тифлисѣ по фасаду предоставлена свобода отъ постоя на 6 лѣтъ то на основаніи онаго положенія Вашего Превосходительства покорнѣйше прошу

საქართველოს ეროვნული არქივი National Archives of Georgia

5. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 209, ან. 1, საქმე 229, გვ. 1.



6. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,
ფონდი 209, ან. 1, საქმე 229, გვ. 5.



№ 79. 13 Августа 1825. 2

Верховнаго Грузинскаго Правительства въ Общее Собрание —

Изъ Грузинскаго дворянскаго Депутатскаго Собрания —

7. *საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 1, ან. 1, საქმე 552, გვ. 2.*

საქართველოს საისტორიო არქივის ამავე ფონდებში გამოვავლინეთ კიდევ ერთი

საინტერესო დოკუმენტი, რომელიც წარმოადგენს გეურქ ელიაროვის ბიძაშვილის ქაიხოსრო ელიაროვის გენეალოგიურ ხეს *{იხ. დოკ. 8}* და მისი ოჯახის შემადგენლობას *{იხ. დოკ. 9}*. აქვე ვხვდებით კიდევ ერთ საინტერესო დოკუმენტს, საიდანაც ირკვევა ამ საგვარეულოს ზოგიერთი ისტორიული საკითხი. როგორც მასში აღნიშნულია, 1653 წელს მარიამ დედოფალს მათი წინაპრებისთვის მამულები უბოძებია *{იხ. დოკ-ის ფრაგმენტი 10}*.



*8. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 1, ან. 1, საქმე 486, გვ. 8.*



10

| Имя прозвание дворянина въ томъ уѣздѣ [illegible] лѣтъ | Холостъ или женатъ на комъ или вдовъ | Много ли дѣтей мужескаго или женскаго полу и ихъ имена и лѣта | Сколько [illegible] или въ [illegible] селахъ или деревняхъ | Въ службѣ ли онъ [illegible] или въ отпускѣ | Какого онъ чина | Въ какой именно службѣ или въ отставкѣ |
|---|---|---|---|---|---|---|
| Тифлисскаго уѣзда дворянинъ Кайхосро Еларовъ 32 лѣтъ | Женатъ на дочери дворянина Папы [illegible] Тамары | Имѣетъ дѣтей сыновей [illegible] 3 лѣтъ и Григорія одного году | Имѣетъ крестьянъ пять дворовъ имѣніе въ Тифлисскомъ уѣздѣ | [illegible] | Чина не имѣетъ | [illegible] |

Подлинно [illegible] дворянинъ Кайхосро Еларовъ

Переводчикъ [illegible]

*9. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 1, ან. 1, საქმე 486, გვ. 10.*



165ъ года Царицы Маріи, коею она Еларову
Шавердію братьямъ его Папію, Георгію и
двоюроднымъ его же братьямъ Захарію,
Ясону, грамоту и вайбуру съ потом
ствомъ подтвердила наслѣдственное
имѣніе предковъ ихъ, состоящее въ
Сомхетіи деревни Худжабы совсѣми къ

*10. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 1, ან. 1, საქმე 486, გვ. 14-ობ*

1819 წლის ცალკე საქმეში აღმოჩნდა აგრეთვე გეურქ ელიაროვის ძმის შესახე არსებული დოკუმენტები, რომლის საფუძველზე იგი განვთავსეთ გენ-ხეში. მაგრამ, ამ საქმეში მისი დაბადება-გარდაცვალების თარიღები არ ჩანს *[იხ. დოკ. 11].*



По предложению Генерал Лейтенанта Вельяминова о рассмотрении доказательств на дворянское происхождение Михайлы Сергеева сына Елиарова обходом.

Начало 4 октября 1819 года

*11. საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი,*
*ფონდი 231, ან. 1, საქმე 27*

ამასთანავე, ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს იმ ზოგიერთი საარქივო მასალის წყაროს აქ მოყვანა, რომელშიც საუბარია გეურქ ელიაროვის შვილების ქონებრივ საკითხებზე და რომელშიც ფიგურირებენ იმდროინდელი სხვადასხვა შტოს ელიაროვები:



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 750 | 522 | 107 | Переписка с Главноуправляющим в Грузии об утверждении в дворянском происхождении Елиарова П.И. и о внесении его в дворянскую родословную книгу. | 2 ноя 1836 6 сен 1839 | 13 |

*საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 1, ან. 1, საქმე 750*



1824 г.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 31 | " | | | | |
| 32 | оп.1 1419 | 668 | Указы Сената об отказе тифлисскому жителю Попову К., именующему себя Елиаровым, в признании в дворянском происхождении за отсутствием документов. | 3 янв. 1824 17 сент. 1826 | 11 |

*საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, ან. 2, საქმე 32*



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 210 | оп.1 3408 | 2048 | Переписка с Исполнительной экспедицией о расследовании прошений Элиаровых К. и Е., вдовы Автандиловой и Кагарева С., о передаче им имущества оставшегося после смерти зятя их Автандилова В. | 5 нояб. 1835 сент. 1836 | 37 |

*საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2, ან. 2, საქმე 210*



| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 63 | 1089 | 786 | Переписка с землемером Гукасовым о правах чиновника Елиарова К. на сады в селе Крцанисы, Тифлисского уезда | 14/XII-1859 /4/IУ-1858/ 21/XII-1859 | 10 |

*საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 240, ან. 2, საქმე 63*

ასეთია გეურქ სარქისის ძე ელიაროვის წარმომავლობის საკითხები ზემოთ მოყვანილი დოკუმენტებისა და სპეციალური ლიტერატურის განხილვის საფუძველზე, საიდანაც შეიძლება მოკლედ ჩამოვაყალიბოთ შემდეგი ძირითადი დასკვნები:

- გეურქ სარქისის ძე ელიაროვი (ელიარაშვილი) დაიბადა **1769 წელს თურქეთის ქ. ერზერუმში** და გარდაიცვალა 1821 წლიდან 1830 წლამდე პერიოდში, სავარაუდოდ ქ. თბილისში.
- მისი წინაპრები იყვნენ ისტორიული სომხითის სოფელ **შარქარაში** (შაქარა) მცხოვრები ქართველი **აზნაური ელიარაშვილები,** რომლებიც საისტორიო წყაროებში XVII საუკუნიდან იხსენებიან.
- გაურკვეველი მიზეზის გამო, სოფ. შარქარის მკვიდრი გეურქ სარქისის ძე ელიარაშვილის ბაბუა **დელუყარდაში** ქ. ერზერუმში გადასულა საცხოვრებლად, სადაც გეურქი დაბადებულა.
- ერზრუმიდან თბილისში ჩამოსული გეურქ ელიარაშვილი **ელიაროვის** გვარით იხსენიება, რაც განპირობებული უნდა ყოფილიყო კარგად ცნობილი **ქართველთა გასომხების** მიზეზებით. ამიტომ, ქართველი მეცნიერები და მკვლევარები მის გვარს მართებულად წერენ როგორც ელიარაშვილი და უწოდებენ საომარი იარაღის დამზადების გამოჩენილ **ქართველ ოსტატს.**
- მაგრამ, თუ გარკვეული დამატებითი კვლევებით დამტკიცდება, რომ ისტორიული სომხითის მკვიდრი ელიარაშვილები ეთნიკური სომხები იყვნენ, რაც ჯერ დოკუმენტალურად არ ჩანს, რა თქმა უნდა, XIX საუკუნეში თბილისში მიგრირებული მათი შთამომავალი ელიაროვები სომხებად უნდა მივიჩნიოთ“.

წინამდებარე კვლევა, გეურქ ელიაროვის (ელიარაშვილი) წარმოშობის შესახებ, უდავოდ საინტერესოა სპეციალისტებისთვის და დაინტერესებულებისთვის, როგორც საქართველოდან, ასევე უცხოური აკადემიებიდან. ამ მომენტისთვის გამოსაცემად მზადდება მკვლევარ ლ. დვალიშვილის შრომა ამ თემაზე საინტერესო საარქივო მიგნებებით (ბმული), იმედი გვაქვს, ეს ნაშრომი კიდევ მეტ ნათელს მოჰფენს და შეავსებს ჩვენს წინამდებარე კვლევას.

*ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი*
*რეზო ხუციშვილი*

მესაჭურვლე-მკვლევარი, ინჟინერი
გოჩა ლაღიძე / www.gotscha.nl

*თბილისი, 2021 წ. აპრილი-ივნისი*

© ავტორები

***წინამდებარე კვლევა გიორგი ელიარაშვილის წარმოშობის შესახებ მიმდინარეობს 2021 წლის თებერვალიდან და (ტესტ-რეჟიმში) გამოქვეყნდა 2021 წლის 15 მაისს. დღემდე ხდება ნაშრომის რედაქტირება და შევსება-ოპტიმალიზაცია.***

# Проблема-происхождения-мастеров, Кирилл Ривкин, июнь 2021 г.

Проблема происхождения мастеров-оружейников Закавказья работавших в первой половине XIX-го века – одна из самых интригующих в истории кавказского оружия. В настоящий момент большниство публикаций основываются на анализе документов тбилисских амкарств. Из оных следует что существенная часть оружейников переселилась в Тбилиси и Ахалцихи в конце XVIII-го, начале XIX-го веков из Эрзурума, бывшего до этого крупнейшим центром производства оружия в восточной части Османской империи, но начиная с конца XVIII-го века оказавшимся под непосредственной угрозой военного захвата и испытающего существенные финансовые трудности. Практически все члены данных амкарств были армянского вероисповедания. В документах амкарств также отмечается факт содействия властей в пресекании дейтельности конкурирующих с амкарством мусульман-отходников, в особенности в Тбилиси, но более конкретно происхождение этих мусульман не описывается. Таким образом, в исследовательской литературе до где-то 2000 года не ставилось под сомнение что практически все мастера-оружейники Тбилиси, включая клиночников, специалистов по огнестрельному оружию, а также ювелиров украшающих оружие золотом и серебром – были этническими армянами. Многими предполагалось также что подобная ситуация была характерна и для всего Закавказья начала XIX-го века, от Шуши и Баку на востоке до Батуми и Эрзерума на западе.

Однако, существовала проблема заключающаяся в том что на больщинстве клинков даже из числа тех что по совокупности черт относятся именно к тбилисскому производству присутствуют подписи исполненные арабскими буквами и очень часто содержащие исламские или во всяком случае «исламизированные» имена. Высказывалась теория что данные работы могли быть произведены мастерами местного, возможно изначально грузинского, происхождения (...), которые до конца XVIII-го века преимущественно работали в контролируемых Османским государством городах таких как Батуми и Эрзерум, а затем распространили свою деятельность и на восток Грузии, при этом не подпадая под статус «переселенцев-мусульман». В качестве альтернативы была выдвинута теория что большинство подобных клинков и предметов вооружения были изготовлены мастерами-отходниками черкесского происхождения. Подобное утверждение основывается исключительно на этнографических показаниях наших современников и противоречит целому ряду фактов, например тому что аджарские предметы начала XIX-го века демонстрируют целый ряд схожих конструктивных особенностей с тбилисскими, но практически не имеют общих черт с известными черкесскими образцами. Также высказывалось предположение что подобные предметы – работы дагестанских мастеров, либо ошибочно атрибутируемые как тбилисские или более обще – грузинские, закавказские, либо действительно изготовленные в Грузии, но дагестанскими отходниками. Следует отметить что факт присутствия в Грузии начиная с 1860-х годов дагестанских отходников не подвергается сомнению. Однако принятие более ранней даты в качестве начала их деятельности наталкивается на целый ряд несоответствий, таких как использование

мастерами из Грузии (в том числе и в отношении клинков подписыванных с использованием арабского альфавита), принципиально иных технологий (дамаски, ламеллярная проковка), типа подписей (битыми клеймами) и даже арабской графики (более схожей с османским тулутом, нежели чем с дагестанской каллиграфией, обычно содержащей элементы персидского насталика) по сравнению с известными работами дагестанских мастеров.

В связи с данной общей проблематикой, особенно интересен вопрос происхождения самого известного мастера работавшего в Грузии – Геурка Элиарова, чьи работы получили широкое признание не только в Тбилиси, но и во всей Российской империи, поставщика двора Его Императорского Величества (но следует отметить что обстоятельства получения им этого звания на сегодня малоизучены), одного из очень немногих в Тбилиси кто работал с булатом, и в данном качестве достиг впечатляющих результатов.

Среди его клинков доминируют образцы подписанные на русском как «Геурк Элиаров», значительно реже – подписанные арабскими буквами в персидском стиле. Из датированных, последние относятся к концу 1840х годов, в 1850 году его работы были отмечены специальным призом, более поздние образцы не сегодня не известны. Сложнее определится с самыми ранними экзмеплярами – известны несколько работ датированных 1810-ми годами, чья подлинность не вызывает сомнений, и образцы 1800-х годов требующие дополнительных исследований. Выдвигалось предположение что поздние образцы представляют из себя работы членов семьи Геурка, подписанные именем Геурка, в том числе с использованием его титула поставщика императорского двора, из коммерческих соображений. Нужно учесть что подписанные работы остальных членов семьи Геурка, в отношении которых достоверно известно что они работали всю жизнь (Епрем, Караман) на мастерскую Геурка – практически не встречаются.

На сегодня в исследовательской литературе факт армянского происхождения Геурка Элиарова не подвергается сомнению, хотя и признается отсутствие прижизненных документов подтверждающих данное утверждение. Есть косвенные факторы которые способствовали подобной ситуации – имена Саркис (отец Геурка) и Кеворк (Геурк) более распространены среди армян, использование Геурком русской адаптации своей фамилии Элиаров, нежели чем какого-либо более «грузинского» по своему стилю написания, и наконец указание на его армянское происхождение со стороны человека, представлявшегося прямым потомком (пра-пра-правнучкой) Геурка. Однако, следует признать что ключевым фактором являлось распространенное мнение что практически все мастера Закавказья того времени, точно так же как и члены тбилисского амкарства, были этническими армянами.

Таким образом, установление более или менее точного происхождения Геурка Элиарова на основании архивных документов онтосящихся непосредственно к нему или к членам его семьи, это не просто первая попытка объективного анализа личных обстоятельств этого несомненно заслуженного Мастера, но мы надеемся и начало пересмотра всех вопросов относящихся к

нашему пониманию происхождения мастеров той эпохи. Точно также как творчество и личная жизнь Геурка лежали вне наслуженной, но узкой компетенции армянской общины Грузии, вполне возможно похожая ситуация существовала и в отношении других закавказских оружейников – из Аджарии, Мергелии, Тбилиси, что может объяснить в том числе и феномен местных мастеров, подписывавшихся арабскими буквами.

*Егиазаров С.А. Исследование по истории учреждений в Закавказье. Казань, 1889. Т. 1-2. С.*

*Егиазаров первый кто отметил факт переселения мастеров из районов Турции и Эрзерума.*

*Ахвердов, Ю. (1883). Тфилисские Амкары. Тифлис: Ив. Питоева.*

**Шок контент - установлена настоящая личность Геурка! (video)**

ამას წინათ თბილისში, ლენინის ქუჩაზე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ამომცემლობის შენობასთან გამვლელები უცნაურ სცენას შეესწრნენ. ახალგაზრდა კაცი, ქალაქური იერისა, უჩვეულოდ ალკაზმული მიაბიჯებდა. ფოტოგრაფი სურათებს უღებდა. ახალგაზრდას ეტყობოდა, მაინცდამაინც თავისუფლად რომ არ გრძნობდა თავს, ცდილობდა, არ შეეხედა გამვლელებისთვის. უხერხულად იშმუშნებოდა და მოუთმენლად შეჰყურებდა ფოტოგრაფს, რომელიც მშვიდად აგრძელებდა თავის საქმეს. ხალხი ცნობისმოყვარეობით აკვირდებოდა ჯაჭვის პერანგში, ჩაჩქანში, საფუხრეებსა და სამკლაურებში გამოწყობილ ყმაწვილს, რომელსაც არც ხევსურული ხმალი დავიწყებოდა და, ალბათ, ყველას ეგონა, კინოსინჯების გადაღება მიმდინარეობსო. საქმე კი სულ სხვაგვარად იყო. რედაქციის დავალებით ჩვენს ფოტოკორესპონდენტ ოლეგ გველესიანს საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტომატიკა-გამოთვლითი ტექნიკის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი გოჩა ლალიძე თავისივე დამზადებულ მეომრის ძველებურ ალკაზმულობაში უნდა გადაეღო. გოჩასთვის ალბათ ეს იყო ყველაზე მძიმე (როგორც გადატანითი, ისე პირდაპირი მნიშვნელობით, რადგან ეს აღჭურვილობა 10 კილოზე მეტს იწონის) წუთები. თავმდაბალი კაცისთვის, რომელიც მხოლოდ დიდი სიყვარულისა და გატაცების გამო აკეთებს საქმეს და არა თავის გამოსაჩენად, დღისით, მზისით, ამხელა ქალაქში, ცენტრალურ ქუჩაზე შუა საუკუნეების მეომარივით გამოსვლა და საკუთარი ნახელავით თავმოწონება არც თუ ისე იოლია, მაგრამ ხათრი ველარ გაგვიტეხა და ეს ფოტოც მაშინ დაიბადა. ალბათ ერთი წამით სწორედ მაშინ შემოიჭრა თბილისში რაღაც მივიწყებული, უფრო სწორად, არასდროს ნანახი, მაგრამ საერთოდ მონატრებული.



# გვერდით „ბითლზი" მღეროდა...

იგივე გრძნობა თუ ეუფლებოდათ ელიზარაშვილებს, ქართული ჯავარის („ბულატის") წარმოების უკანასკნელ მცოდნეთ, თავიანთი განსაკუთრებული ხელობის სხვებისათვის სწავლებას რომ არ ერიდებოდნენ და საიდუმლოს სამარეში წაღება არ უნდოდათ. ინდოეთთან ერთად საქართველოც განთქმული ყოფილა მსოფლიოში საუკეთესო ფოლადის — „ბულატის" წარმოებით. ქართული ჯავარის ხმლებს ვერაფერი შეედრებოდა. XIX საუკუნეში თბილისში ცხოვრობდა ერთი ოჯახი, ელიზარაშვილებისა, რომელთა წინაპარი გიორგი ხმლის განთქმული ოსტატი ყოფილა. გიორგის ხელობა თვითონაც მემკვიდრეობით ჰქონია მიღებული და შვილებისათვის გადაუცია. ჯავარის წარმოება საიდუმლოდ ინახებოდა, მაგრამ გიორგის ერთ-ერთ შვილს, ყარამანს, 1828 წელს რუსეთისათვის გადაუცია საუკუნეების განმავლობაში გამომუშავებული ქართული ფოლადის ხმლის დამზადების საიდუმლოება და თავისივე დამზადებული უმაღლესი ხარისხის ხმლებისა და სატევრების ოთხი ნიმუში. ეს ნიმუშები ნიკოლოზ პირველს გაუგზავნა გენერალმა პასკევიჩმა. სულ მალე რუსეთიდან, ზლატაუსტის ქარხნიდან, მოწინავე ოსტატები ვასილ ივაკოვი და უცხოილი ვასილ გოლფერცი, აგრეთვე, მუშები დიატლოვი და ივანოვსკი მოუვლინებიათ თბილისში ელიზარაშვილებთან. მათაც რუსი ოსტატებისთვის უსწავლებიათ ჯავარის ხმლის დამზადება. თუმცა, საქმეში ჩახედული ხალხი იმასაც ამბობს, რუსი ოსტატები თბილისში მართლაც უმაღლესი ხარისხის ხმლებს აკეთებდნენ, რუსეთში კი ისეთივე არ გამოსდიოდათო, ალბათ მხოლოდ თეორიული ცოდნა არ იყო საკმარისი. ახლა ცნობილია ელიზარაშვილების ფოლადის რეცეპტი — ინდოეთის რკინა „ვუნცა", ქართული ნალები, ქართული ფოლადის და თუჯის ფხვნილის შენაზავი. მხოლოდ რეცეპტი არ კმარა — ყველაფერთან ერთად ამ საქმეს დიდი პრაქტიკული ცოდნა, მოთმინება, პროფესიონალიზმი ესაჭიროება. გოჩა ლალიძის ოცნებაც მომავალში ასეთი ხმლის გამოჭედვაა. მას თავისი აზრი გაუზიარებია და დახმარებაც უთხოვია თემურ სულხანიშვილისათვის. იმ თემურ სულხანიშვილისათვის, რომელიც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, როგორც თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიური თეატრის კარიბჭის აღდგენითი სამუშაოების ხელმძღვანელი (ალბათ მკითხველს ახსოვს, მის შესახებ ჩვენს გაზეთში მარშანწინ წერდა ნოდარ წულეისკირი), თანხმობაც მიუღია. ეს კი მას შემდეგ მომხდარა, რაც თემურ სულხანიშვილს გოჩას ნახელავი უნახავს.

ნახელავიო — ადვილი სათქმელია. მხოლოდ გოჩამ იცის ამ „ნახელავის" ფასი. ყველაფერი კი გაცილებით ადრე, სკოლაში დაიწყო. თავიდან თბილისის კომაროვის სახელობის სკოლაში სწავლის დროს ისტორიის მასწავლებელს, ჯუანშერ ჯურხაძეს დაუინტერესებია ქართველი ხელოსნების ძველი ნაწარმით, ფხარიც უჩუქებია. მაშინ გოჩა მეცხრე კლასში იყო. იქიდან მოყოლებული საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხშირი სტუმარი გახდა. საათობით იდგა ძველ ნაკეთობებთან, მეომრების აღჭურვილობასთან. ასე „ზეპირად" სწავლობდა ჯაჭვის პერანგის ქსოვას, ფარისა და ხმლის, ჩაჩქანისა (მეომრის ქუდი) და საფუხრეების (ხელთათმანი — ზემოდან ჯაჭვის, ქვემოდან კი ნაჭრის) დამზადებას. შემდეგ გულმა ველარ მოუთმინა. პირველად ჩაჩქანი გააკეთა, მერე ჯაჭვიც მოქსოვა. სამუშაო რთული იყო, იმაზე რთული, ვიდრე წარმოედგინა, მაგრამ ამავე დროს — ძალზე მიმზიდველი და როგორღაც საყვარელიც. მოკლედ, ვეღარ „დაეხსნა" ლითონს. საათობით იჯდა და ჩაჰკირკიტებდა ფოლადის მავთულებს, რგოლებს, იქვე, გვერდით კი მაგნიტოფონი იყო ჩართული და „ბითლზი" მღეროდა.

დრო გადიოდა, სიყვარული კი უფრო და უფრო იმატებდა. სიყვარულთან ერთად ინტერესიც იზრდებოდა. თვითონაც ატყობდა თავს — მომძლავრდა როგორც ხელოსანი და ამიტომ ქართველი მეომრის აღჭურვილობის კომპლექტის დამზადება გადაწყვიტა. მთელი ზაფხული თავაუღებლად მუშაობდა, ყველაზე შრომატევადი ჯაჭვის პერანგის მოქსოვა გამოდგა. ჯაჭვის პერანგში ფოლადის 56 000 პატარა რგოლია. საერთოდ პერანგის მოქსოვას 9 კილოგრამი ფოლადი დასჭირდა. პერანგში თითო რგოლი ოთხ რგოლთან არის დაკავშირებული. რგოლები ცივი ჭედვით მზადდება. ორი თვე მოანდომა ჯაჭვის პერანგის მოქსოვას. შემდეგ საფუხრეები და სამკლაურები დაამზადა, ხევსურული ხმალი გამოჭედა თავისი თითბერის ქარქაშით. ნახელავით ბევრი დაინტერესდა — სპეციალისტებიც და არასპეციალისტებიც. რაც მთავარია, ყველა მოიხიბლა, სპეციალისტებმა კი მაღალი შეფასება მისცეს ნამუშევარს. ამის დასტურია ამ დღეებში გოჩა ლალიძისთვის ხალხური ოსტატის წოდების მინიჭებაც. ოსტატის ნამუშევრები იგზავნება ავსტრიაში, ქართული ხალხური რეწვის გამოფენაზე. ეს საქართველოს კულტურის სამინისტროს ხალხური შემოქმედებისა და კულტსაგანმანათლებლო მუშაობის სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის სახვითი ხელოვნების განყოფილების გამგემ, საქართველოს სახალხო მხატვარმა გურამ გაბაშვილმა გვაცნობა. ბატონმა გურამმა ისიც დასძინა, თუ რამ საქებარი სიტყვები არსებობს, არ ვიშურებ ამ ბიჭისთვის. ყველა დედას ვუსურვებ ასეთ შვილს, საოცრად მონდომებულს, მიზანსწრაფულსა და პატრიოტსო.

გოჩა მალე თვითონაც მშობელი გახდება. ალბათ მის შვილებსაც გადაედებათ ნაღდი ქართული ხელობის სიყვარული, შეითვისებენ მამის მიერ დაგროვილ ოსტატობასა და გამოცდილებას. იქამდე კი გოჩა კიდევ ბევრის გაკეთებას მოასწრებს. სადაც არის, ინსტიტუტს დაამთავრებს. დამთავრების შემდეგ განაწილებით ვიმუშავებო, — გვითხრა. გეგმაში აქვს შუა საუკუნეების რაინდების აბჯრის გამოჭედვა, მსოფლიოს ხალხთა იარაღი და...

თბილისში ცხოვრობს ერთი ჩვეულებრივი ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ძალიან უნდა, ნამდვილი ქართული ჯავარის ხმალი დაამზადოს, ისეთი, ელიზარაშვილებისა რომ იყო და არაფრით ჩამოუვარდებოდა განთქმულ დამასკურ ხმალს.

მამუკა ფაჩუაშვილი

## The Beatles were singing

***Newspaper article (Achalgazrda Komunisti), by Mamuka Patschuaschvili, 5 July 1988. (translation)***

Recently passers-by witnessed the strange scene in front of the publishing house. A young man who looked very modern was dressed very strangely. The photographer was taking photos. The young man was very tense, tried not to look at passers-by and was waiting for the photographer, who continued his business calmly. The people looked curiously at the young man, dressed in armour and helmet, who had not forgotten his khevsuretian sword. Everybody thought that they were shooting a film. But the matter was quite different. Our photo correspondent, Oleg Gvelesiani, was taking photos of the fourth year student of Tbilisi Polytechnic Institute, Gotscha Lagidse, who was wearing warrior's armament, which he had made himself. These were very difficult moments for Gotscha, because he does everything just for love of this work and not for showing off. To come out in the main street of the city during the day time and to show himself wearing his own work was not easy for the modest man. But he couldn't refuse and this photo was taken at that very moment. This was the forgotten and never seen, which intruded into Tbilisi for a minute.

The Elizarashvili has the same feeling, the last to know the production of Georgian 'Djavari" (Bulati). They did not want to take the secret of this art with them into the grave, and they did not avoid teaching this craft to anyone. Georgia, together with India was famous for the production of the best steel – "Djavari", in the whole world. Georgian swords had no equal in the world. In Tbilisi, in the nineteenth century lived the family of Elizarashvili, whose ancestor George was the famous master. He had inherited this craft himself and later gave it to his sons and grandsons. The production of the sword was secret. But one of George's sons, Kharaman, in 1828 gave the secret of Georgian steel sword's production and the patterns of his own swords to Russia. General Paskevich sent these patterns to Nicholai I. Very soon, from the Russian factory of Zlatoust, the advanced masters Ivjakov, Djatlov, Ivanovski and German master Vasil Goltferz were sent to Georgia. But people, who knew this trade well used to say that the Russian masters made good swords in Tbilisi, but in Russia they couldn't, because only theoretical knowledge was not enough.

Nowadays the recipe of Elizarashvili's steel is known – Indian iron "Vuts", Georgian horseshoes, Georgian steel and cast iron powder mixed up together. But only recipe isn't enough, you need practical knowledge, patience and professionalism. Gotscha's dream is to forge such a sword. He shared his idea with Themur Sulchanischvili and asked for help. Themur Sulchanischvili is the person who reconstructed the Rustaveli Theatre entrance door. After seeing Gotscha's work, he agreed to help him.

Work is easy to say. Only Gotscha knows its value. Everything began quite early at school. During school years his teacher of history Djuanscher Djurchadze stimulated him in restoration of Georgian armours and presented him with a shield. Gotscha was in the 9$^{th}$ grade then. Since that period Gotscha became the frequent guest of the Georgian Arts Museum. He was standing for hours in front of the armours and helmets and studied to make it. Later he made a helmet, afterwards the armour. The work was very difficult, more difficult than he could imagine, but at the same time very attractive. He was sitting for hours, working and looking at steel wires. In the same room The Beetles were singing.

Time went on. His love grew and grew. He knew that he was ready to make the Georgian warrior's armour. He worked almost the whole summer. The most painstaking was the making of armour. In the mail shirt are 56,000 little rings. It needs 9kg of steel. In armour one ring is connected with four rings. He needed two months for making the mail shirt. Then he make an arm-piece and helmet and later forged the Khevsuretian sword, with its yellow copper scabbard and shield. Many specialists esteemed Gotscha's work. Recently he was granted the People's Arts of Georgia. The Master's works are sent to Austria and to many exhibitions. The great Georgian printer Guram Gabaschvili mentioned that Gotscha Lagidse is a very desirable, purposeful and patriotic young man.

Gotscha will be a father in the near future and his children will have the love of old art and they will master the secret of this craft. Gotscha is young and he has much time to do more and more. Very soon he'll graduate from the institute. He has planned to make the middle centuries European warriors' armour.

In Tbilisi lives an ordinary man whose wish is to make the real Georgian "Djavari" sword, such as Elizarashvili's one and equal to famous Damascus sword.